საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლშევიკი სიცრუეა, ტყუილებით და ჭორებით ბუტითის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 20 აპრილი. 2022 წ. №51 (9389) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

შეიგნეთ ქართველნო:

ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი!

თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამსახურში მოქალაქეების მიღებას აგრძელებს

საკონტრაქტო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანია ძვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს, — ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის ტერიტორიიდან პირადი შემადგენლობა ქვეყნის რეგიონებში, ქალაქებსა და სოფლებში რეკრუტირების მობილური მანქანებით გაემგზავრა. სამხედროები ადგილობრივებს საკონტრაქტო სამსახურის პირობებს, ასევე თავდაცვის ძალებში პროფესიით დასაქმების შესაძლებლობებს გააცნობენ.

გუშინ თბილისის მეტროსადგურებთან მოქალაქეების პირისპირ შეხვედრები გაიმართა. სამხედრო მოსამსახურეებმა მოქალაქეებს კონტრაქტის, ასევე პროფესიით ჯარში სამსახურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. სამხედრო საქმის მიმართ მოსახლეობის დიდი ინტერესი გამოიკვეთა. მოქალაქეების კითხვებს სამხედროებმა ამომწურავად უპასუხეს. თავდაცვის უწყების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ 4-წლიან საკონტრაქტო სამხედრო სამსახურში მიიღებიან 18-დან 35 წლის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები. სამხედროები უზრუნველყოფილი იქნებიან ნატოს სტანდარტების უმაღლესი ხარისხის უნიფორმით, სამხედრო აღჭურვილობით, კვებით, უფასო სამედიცინო მომსახურებით, სოციალური და სამართლებრივი დაცვით. ჯარისკაცებმა აღნიშნეს, რომ უწყებაში მოტივაციის ამაღლებისათვის საუკეთესო პირობებია შექმნილი, უმჯობესდება განათლების შესაძლებლობები და იხვეწება კარიერული წინსვლის სისტემა, იზრდება ხელფასები და ვითარდება სოციალური დაცვის გარანტიები.

კარიერული განვითარების შესახებ საუბრისას სამხედროებმა განმარტეს, რომ ჯარისკაცებს საშუალება ექნებათ შეისწავლონ უცხო ენა, დაეუფლონ პროფესიას და კვალიფიკაცია აიმაღლონ უცხოეთში სხვადასხვა კურსებზე. უწყება ორიენტირებულია სამხედრო პირი თავდაცვის ძალებში მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით სამსახურის დასრულების შემდეგაც იყოს კონკურენტული.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ 18-დან 40 წლის ჩათვლით მოქალაქეებს თავდაცვის ძალებში დასაქმება საკუთარი პროფესიითაც შეუძლიათ. სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში რეგისტრაციის პროცედურები მაქსიმალურად გამარტივებულია. რეგისტრაცია მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელია ონლაინ — Onlinebct.mod.gov.ge ასევე, ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში — თბილისი, გორი, ქუთაისი, სენაკი, ბათუმი და თელავი, იუსტიციის სახლებსა და რეკრუტირების მობილურ მანქანაში. საკონტრაქტო სამხედრო სამსახურისა და თავდაცვის ძალებში პროფესიით დასაქმების შესახებ საინფორმაციო კამპანია ქვეყნის მასშტაბით ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

იწყება დიდი, მასშტაბური პროექტების დაფინანსება! ②

ეჰ, რას გააგებინებ დაჩლუნგებულ ოპოზიციას... ③

ივანიშვილი „ქართუ ბანკს“ იმიტომ ყიდის, სანქციების ეშინიაო!

პრემიერი აზერბაიჯანის მილი მეჯლისის თავმჯდომარეს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აზერბაიჯანის მილი მეჯლისის თავმჯდომარე საჰიბა გაფაროვას შეხვდა. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობასა და სტრატეგიულ პარტნიორობაზე. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ეკონომიკური კავშირების გაძლიერებასა და რეგიონის უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო-ენერგეტიკულ პროექტებზე.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას აზერბაიჯანის მხრიდან ესწრებოდნენ: აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში **ფაიგ გულიევი**, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პარლამენტის საქართველოს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი **არზუ ნაგიევი**, პარლამენტის წევრები **ფაზაილ აგამალი** და **საბირ რუსტამხანლი**, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე ელმარ ჰუსეინოვი და მრჩეველი **ელდარ ბაირამოვი**, ხოლო საქართველოს მხრიდან: საგარეო საქმეთა მინისტრი **ილია დარჩიაშვილი** და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში **ზურაბ პატარაძე**.

იწყება დიდი, მასშტაბური პროექტების დაფინანსება!

განვადებით მშენებლობის მასშტაბური პროგრამა კონკრეტულ საქმეს გაუჩენს 20 000 ადამიანს

ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების მიზნით და იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტად დავეხმაროთ ეკონომიკურ ზრდას, მინდა, ჩვენს საზოგადოებას გავაცნო ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; დავამუშავეთ რამდენიმე კვირის წინ გაჟღერებული ინიციატივა, რომელიც ეხება ზოგადად ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას, საჯარო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მშენებლობის მასშტაბურ პროგრამას და დღეს უკვე ვიწყებთ განვადებით მშენებლობის მასშტაბურ პროგრამას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 18 აპრილის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერმა იმ პროექტების შესახებ ისაუბრა, რომელიც წელსვე დაიწყება და მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში უნდა დასრულდეს.

„მინდა, სამინისტროების მიხედვით ჩამოვთვალო ის დიდი, მასშტაბური პროექტები, რომლებსაც დავაფინანსებთ. სამუშაოების დაწყება გვინდა წელსვე და დაახლოებით 3 წელში გვინდა, რომ ყველა სამუშაო, რომელსაც ჩამოვთვლი, იყოს დასრულებული. დაფინანსების ჯამური მოცულობა დაახლოებით 3 მლრდ ლარი იყოს. ჩვენ ამ ეტაპზე 2 მლრდ ლარით დავიწყებთ, 2 მლრდ-ის სამუშაოები, პროექტები იქნება ხელმისაწვდომი კომპანიებისთვის და მინდა, რამდენიმე პროექტი გაგაცნოთ. პროგრამის განხორციელებით 20 000 ახალი სამუშაო ადგილი გაჩნდება. ჩვენ სამშენებლო სექტორს შევთავაზებთ, მოიზიდონ ჩვენი გარანტიით, გარანტირებული დაკვეთით, დამატებითი ფინანსური რესურსი და ჩაერთონ ამ პროგრამაში. ვფიქრობ, ეს იქნება უნივერსალური გადაწყვეტილება. ერთის მხრივ, ჩვენ დაგეგმილ პროექტებს ვადაზე ადრე განვახორციელებთ და მეორეს მხრივ, ეს ყველაფერი ეკონომიკას დაეხმარება. ასევე, ბიზნესისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები. მთავრობა საკუთარ პროექტებს განახორციელებს ვადაზე ადრე“, — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

იგეგმება 800 სკოლის მოწესრიგება, მათ შორის, აშენდება 80 ახალი სკოლა, აგრეთვე, ქვეყნის მასშტაბით აშენდება 90 საბავშვო ბაღი და რეაბილიტირდება — 412.

„ბოლო 8-9 წლის განმავლობაში 175 სკოლა ავაშენეთ და 240-მდე სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენ დღეს გვაქვს 800 სკოლა გასარემონტებელი, აქედან 80 ახალი სკოლის აშენება მოგვიწევს, 220 სკოლის სრული და დარჩენილის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ბიუჯეტი იქნება დაახლოებით მილიარდი ლარი და ჩვენ რვაასივე სკოლას, როგორც აღვნიშნე, ნაწილს გავარემონტებთ, ნაწილს ნაწილობრივ და 80 ახალ სკოლას ავაშენებთ მომდევნო 3 წლის განმავლობაში, ეს უნდა იყოს ჩვენი ახალი ამოცანა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩვენ ასევე შევაფასეთ საბავშვო ბაღების მდგომარეობაც, რომელიც კრიტიკულია, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია ბევრი საბავშვო ბაღი, განსაკუთრებით რეგიონებში, ამიტომ, მიღებული გვაქვს გადაწყვეტილება, რომ აშენდება 90 საბავშვო ბაღი და რეაბილიტირდება 412. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენთვის მთავარი ამოცანა უნდა იყოს სწორედ ის, რომ ჩვენი მომავალი თაობა, ბავშვები იზრდებოდნენ, განათლებას იღებდნენ ძალიან ჯანსაღ გარემოში, ამიტომ, მათთვის აუცილებელია, რომ სკოლები, ბაღები იყოს იდეალურ მდგომარეობაში, ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა და პრიორიტეტი,“ — განაცხადა პრემიერმა. რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, პრემიერისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი გადაწყვეტილებით, პოლიციელებისთვის 1000-ბინიანი პოლიციის ქალაქი აშენდება.

„ჩემი და ბატონი მინისტრის დიდი სურვილია და ერთად გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი გმირი პოლიციელებისთვის ავაშენებთ 1000-ბინიან პოლიციის ქალაქს. ამ პროექტს დავიწყებთ ამ წელს, უკვე დაწყებული გვაქვს მოსამზადებელი სამუშაოები, ადგილიც შერჩეულია. ბატონი ვახტანგის იდეა იყო, რომ აღნიშნული პროექტი ჯიქიას ქუჩაზე განხორციელდეს, სადაც განთავსებული იყო პოლიციის სპეცდანიშნულების ბაზა. აღნიშნულ ბაზას სხვა ადგილზე გადავიტანთ და ამ ადგილზე 1000-ბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი, ეს იქნება პოლიციის ქალაქი, ისეთი, როგორიც ჩვენი სახელოვანი ჯარისკაცებისთვის ავაშენეთ ჩემი მინისტრობის დროს. გახსოვთ, რომ 1000-ბინიანი ჯარის ქალაქი ავაშენეთ, რომელიც წელს, სექტემბერში ჩაბარდება ჩვენს ჯარისკაცებს.

ასეთივე, ანალოგიური ქალაქი აუშენდებათ ჩვენს პოლიციელებს. პირობები იქნება იგივე, რაც ჯარისთვის იყო, ანუ დაახლოებით 1 კვადრატულ მეტრზე 100 დოლარის ეკვივალენტს გადაიხდიან ჩვენი პოლიციელები, დანარჩენს ყველაფერს სახელმწიფო დაფარავს. ვფიქრობ, ეს არ უნდა იყოს ერთჯერადი პროექტი, ეს უნდა გაგრძელდეს, დამატებითი მოტივაციის მიმცემი უნდა იყოს ჩვენი პოლიციელებისთვის. ჩვენი ვალია, შესაბამისად, ღირსეულად დავუფასოთ სამსახური იმ ადამიანებს, რომლებიც თავს სწირავენ ჩვენი ხალხისთვის და ქვეყნისთვის“...

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ასევე დაგეგმილია პოლიციის ყველა შენობის და ბაზის რეაბილიტაცია და ერთიან, ევროპულ სტანდარტში მოქცევა, აღნიშნული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 300-350 მლნ ლარს შეადგენს.

„პოლიციის ყველა შენობის გარემონტება, განახლება, რეაბილიტაცია იგეგმება, ასევე იგეგმება განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზების რეაბილიტაცია და მათი ერთიან სტანდარტში მოყვანა. სამუშაოები დაიწყება სასაზღვრო პოლიციაში — ახალ სექტორებს ავაშენებთ, არსებულს გავარემონტებთ ყველგან და ერთიან ევროპულ, თანამედროვე სტანდარტში მოვაქცევთ ყველა ბაზასა და შენობას. მოსახლეობის ზრდასთან ერთად, გაჩნდა ახალი საპოლიციო შენობების აშენების საჭიროება. დაგეგმილი გვაქვს ახალი პროექტები და, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებში აშენდება პოლიციის ახალი შენობები. აღნიშნული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 300-350 მლნ ლარს შეადგენს. სამუშაოები წელსვე უნდა დაიწყოს და ჩვენი სურვილია, რომ ეს ყველაფერი სამ წელიწადში დასრულდეს“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით. პრემიერმა გამოყო სპეციალური ოპერაციების ძალების ახალი, თანამედროვე ბაზის მშენებლობა, საუბარია ე.წ მუხროვანის ბაზაზე, სადაც მასშტაბური სამუშაოები წელსვე დაიწყება.

„ჩვენი სურვილია, რეგიონში ეს იყოს ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო ბაზა, ე.წ მუხროვანის ბაზა. იქ დაწყებულია სამუშაოები, მაგრამ ძალიან დიდი მასშტაბის სამუშაოებზეა საუბარი, რომელიც წელსვე დაიწყება და მაქსიმუმ 2-3 წელიწადში დასრულდება და გვექნება ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო, სამაგალითო თანამედროვე სამხედრო ბაზა, სპეციალური ოპერაციების ბაზა. ასევე გვინდა, აღმოსავლეთ საქართველოშიც ავაშენოთ კადეტთა ლიცეუმი. მოგეხსენებათ, კადეტთა ერთი ლიცეუმი არსებობს ქუთაისში, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში და გვინდა, ანალოგიური კადეტთა ლიცეუმი ავაშენოთ თბილისში, კრწანისის რაიონში.“

მთავრობის მეთაურის თქმით, ასევე იგეგმება სამხედრო მუზეუმის კონცეფციაზე მუშაობის დაწყება, რომელიც კოვიდ-პანდემიის გამო დროებით შეჩერდა და ეს პროექტიც მივა ბოლომდე.

მთავრობა მასშტაბურ პროექტს იწყებს დევნილების ბინებით უზრუნველყოფის მიმართულებითაც. როგორც პრემიერმა აღნიშნა, იმის მიუხედავად, რომ ათასობით დევნილს დაუკანონდა და გადაეცა ბინები, მათ შორის „სოფლად სახლის“ პროგრამის ფარგლებში სახელმწიფომ შეუძინა სახლები, გამოწვევა ჯერ კიდევ დიდია და ძალიან ბევრ, ათასობით დევნილს ჯერ ისევ არ აქვს ბინა. „ამიტომ, ჩვენ ვიწყებთ მასშტაბურ პროექტს, 13 ათასამდე დევნილი ოჯახი მიიღებს ბინებს მომდევნო 3-4 წელიწადში. მათგან ნაწილს დაუკანონდება, ნაწილს, დაახლოებით 6 ათას დევნილს გადაეცემა სახლები „სოფლად სახლის“ ფარგლებში და 7 ათასი დევნილი ოჯახისთვის აშენდება ახალი, თანამედროვე სტანდარტების კორპუსები. ქუთაისში წელს სრულდება 700 ბინის მშენებლობა, რომელიც დევნილ ოჯახებს შემოდგომაზე გადაეცემათ და გაზაფხულზე, ახლა, როგორც აღვნიშნე, დაიწყება ახალი კორპუსების მშენებლობა თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბორჯომში. ეს არის მასშტაბური პროექტი, რომელიც მაქსიმუმ 3-4 წელიწადში უნდა დასრულდეს“, — აღნიშნა პრემიერმა.

გარდა ამისა, დაგეგმილია, ყველა მუნიციპალიტეტში, მომდევნო 3 წელიწადში დასრულდეს წყალმომარაგების პროექტი და 24-საათიანი წყალმომარაგება ჰქონდეს ყველა მუნიციპალიტეტს, ყველა ქალაქს.

პრემიერის თქმით, აღნიშნული პროექტი დაფინანსდება, დაახლოებით, 350 მლნ ლარით და მაქსიმუმ 2025 წელს ყველა ქალაქს ექნება 24-საათიანი წყალმომარაგება.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება სპორტი და კულტურა; საჭირო პროექტები გავლილია მინისტრ თეა წულუკიანთან და მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყება ყველა თეატრის რეაბილიტაცია, ასევე, ყველა მუნიციპალიტეტში აშენდება სპორტული კომპლექსი.

პრემიერმა განსაკუთრებით გამოყო შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი, რომელიც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და აღნიშნა, რომ მუზეუმის შენობის რეაბილიტაცია წელსვე დაიწყება, ეს არის მთავრობის სურვილი.

ორთაჭალაში აშენდება ეკონომიკის სამინისტროს ახალი შენობა, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდება საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობას.

„ეკონომიკის სამინისტროს, მაგალითად 7 წელია არ აქვს თავისი შენობა, რაც, რა თქმა უნდა, სირცხვილია. ამიტომ, ბატონ ლევან დავითაშვილთან ერთად ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ, რომ გვაქვს უნიკალური ადგილი ორთაჭალაში, იქ აშენდება ეკონომიკის სამინისტრო, სადაც უწყება მთელი თავისი სსიპ-ებით, განთავსდება თანამედროვე სტანდარტების შენობაში. საგარეო საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში დიდი გამოწვევაა არსებული შენობის მდგრადობა და აუცილებელია რეაბილიტაციის დაწყება. გვინდა, წელსვე დავიწყოთ ეს პროექტი, ამას ბატონი ილია დარჩიაშვილი განახორციელებს. ჩვენ უნდა დავიწყოთ ძალიან აქტიური მუშაობა, გვჭირდება 24-საათიანი მუშაობა, დასაქმდება ათასობით ადამიანი და სიკეთე შეეხება ასი ათასობით ჩვენს თანამოქალაქეს. ყველაზე მეტად მახარებს ჩვენი განათლების პროექტი — 800 სკოლა უნდა იყოს ევროპული სტანდარტის მიხედვით აშენებული და რეაბილიტირებული. კიდევ ერთხელ მინდა მოგიწოდოთ, ბატონებო და ქალბატონებო, აქტიური მუშაობისკენ, ჩვენ ახლა გვჭირდება მაქსიმალური მობილიზება იმისათვის, რომ ყველა ეს პროექტი, ამბიციური გეგმა ძალიან მოკლე ვადებში შევასრულოთ,“ — განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება 1 ივნისიდან 150 ლარამდე გაიზრდება

ერთი წლის წინ, ჩემი გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუცველ ბავშვებს დახმარება გავუორმაგეთ, მანამდე იყო 50 ლარი და გახდა 100 ლარი; დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული დახმარება გახდეს 150 ლარი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ამ მიმართულებით ჯამური ბიუჯეტი წელს 341 მლნ ლარი იქნება და დახმარება მომავალ წელსაც გაგრძელდება.

„მინდა, საუბარი დავიწყო ბავშვთა უფლებების დაცვით. მოგეხსენებათ, მათზე ზრუნვა და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობაა და ამ მიმართულებით არაერთი ნაბიჯი გადავდგით. ერთი წლის წინ, გახსოვთ, რომ ჩემი გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუცველ ბავშვებს დახმარება გავუორმაგეთ, მანამდე იყო 50 ლარი და გახდა 100 ლარი. დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ აღნიშნული დახმარება გახდეს 150 ლარი. თითო ბავშვზე აღნიშნული დახმარება შეადგენს 150 ლარს, პირველი ივნისიდან. ამ მიმართულებით 341 მლნ ლარი იქნება წელს ჯამური ბიუჯეტი. დახმარება გაგრძელდება მომავალ წელსაც და ჩვენი გადაწყვეტილებაა, რომ აღნიშნული გაგრძელდეს ყოველ წელს, იმიტომ, რომ ბავშვებზე ზრუნვა არის ჩვენი პირდაპირი მოვალეობა. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას გვაღელვებს სოციალურად დაუცველი ადამიანების მდგომარეობა. ეს გადაწყვეტილება შეეხება 215 000-ზე მეტ ბავშვს. ასევე იცით, რომ ვგეგმავთ სხვა დახმარების გაცემას და გაზრდას, მათ შორის, სხვა პროგრამების დაწყებას, რომელიც შეეხება სოციალურად დაუცველ ადამიანებს, როგორიც არის, მაგალითად დასაქმების პროგრამა და სხვა.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ და დავეხმაროთ სოციალურად დაუცველ ადამიანებს. ეს მიზნობრივი დახმარება სწორედ ამ მიზნით და მიმართულებით არის ჩაფიქრებული“, – აღნიშნა პრემიერმა.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

წელს ძალიან რთული წელია მთელ მსოფლიოში, არაერთი გამოწვევა არსებობს, მათ შორის, ჯერ იყო პანდემია, მერე ეს ომი, დამანგრეველი ომი და ბუნებრივია, ყველგან გაუარესდა მდგომარეობა ყველა მიმართულებით, იქნება ეს ინფლაცია, ფასების ზრდა და ა.შ. იმისათვის, რომ ქვეყანაში სტაბილური ვითარება შევინარჩუნოთ, უნდა დავეხმაროთ ჩვენს მოსახლეობას, მოქალაქეებს, ფერმერებს, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა დავიწყოთ,– ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის 18 აპრილის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, პროგრამის დამტკიცების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროული განხორციელების ხელშეწყობა.

„სასოფლო-სამეურნეო მიწაზე სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 1 ჰა-ზე 300 ლარით, სუბსიდიას მიიღებენ 0.25 ჰექტრიდან 1.25 ჰა-ს ჩათვლით მიწის მესაკუთრეები, თანამესაკუთრეები და ბენეფიციარს შეეძლება, მიიღოს ეს სუბსიდია. მათ დაერიცხებათ სპეციალურ აგრობარათზე აღნიშნული დახმარება, სუბსიდია ქულების სახით და შეეძლებათ, გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო საქონლის შესასყიდად. ვფიქრობ, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება, ეს შეეხება დაახლოებით 300 000-მდე ფერმერს, პროექტის ბიუჯეტი 35 მლნ ლარს შეადგენს და ვფიქრობთ, ეს დადებით გავლენას მოახდენს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე. ამას გარდა, იცით, რომ არა მხოლოდ მცირე მიწის მქონე, არამედ მსხვილ ფერმერებსაც ვეხმარებით, ჩვენ მათ ვუფინანსებთ საბრუნავი სახსრების აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთს 9%-ის ოდენობით. ასევე, ერთწლოვანი კულტურების მოყვანის ხელშეწყობისთვის სახელმწიფო პროექტის ფარგლებში 22 მარტიდან დღემდე 20 მლნ ლარის სესხები არის გაცემული. ასე, რომ ჩვენ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ ჩვენი ფერმერების დახმარებას“ – აღნიშნა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა საგარეო ვაჭრობის ზრდის მაღალ ტემპზე და განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი ზრდაა ტურიზმის მიმართულებითაც.

„საგარეო ვაჭრობის მიმართულებით, მაღალი ზრდის ტემპი ნარჩუნდება. ექსპორტი 26%-ით გაიზარდა და 411 მილიონი დოლარი შეადგინა. ასევე, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები იზრდება, ძალიან მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს ამ მიმართულებითაც, მარტში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 175 მლნ აშშ დოლარი. 2019 წლის მაჩვენებელს თუ შევადარებთ, ტურიზმის თითქმის 70%-ით აღდგენას ნიშნავს. იანვარ-მარტის თვეში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავლებმა თითქმის 400 მლნ დოლარი შეადგინა. გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს სჭირდება შენარჩუნება“.

პროექტები მაღალმთიანი დასახლებების აღორძინებისთვის...

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2021-2023 **წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები განიხილეს მთის განვითარების ეროვნული საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. სამოქმედო გეგმის თანახმად, 3 წლის განმავლობაში დაგეგმილია 968.5 მლნ ლარის ღირებულების პროექტები, მაღალმთიანი დასახლებების, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე სოციალური მხარდაჭერის მიზნით, რაც 29%-ით აღემატება წინა პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.**

საბჭოს სხდომაზე პრემიერ-მინისტრს წარედგინა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სოციალური შეღავათებით სარგებლობის შესახებ 2021 წლის ანგარიში; ასევე, 2021 წლის მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსებული პროექტებისა და პროგრამების შესრულების ანგარიში, რომელთა შესახებ მთავარი მომხსენებლები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები იყვნენ. აღინიშნა, რომ მაღალმთიან დასახლებებში სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით განხორციელებული პროექტებისთვის, ფონდიდან 3 მლნ ლარამდე დაიხარჯა.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს 1801 დასახლებას, რაც საქართველოს მთლიანი დასახლებების დაახლოებით 49%-ია. აპრილის მონაცემებით, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსით სარგებლობს დაახლოებით 262 ათასი ადამიანი; 497 საწარმო. ბოლო 6 წლის განმავლობაში მაღალმთიანი დასახლებების მხარდასაჭერად მიიმართა დაახლოებით 1.16 მილიარდი ლარი; აქედან, დაახლოებით 402.7 მლნ. ლარი დაიხარჯა კანონით გათვალისწინებულ სოციალურ შეღავათებზე, რომელიც ითვალისწინებს დანამატებს, პენსიაზე, სოციალურ შემწეობებზე, ექიმების, ექთნების, მასწავლებლების ხელფასებზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელებზე და სხვა არაერთი მიმართულებით, ასევე – მოხმარებული ენერგიის თანადაფინანსებას 50%-ის ოდენობით. აღინიშნა, რომ 2021 წელს სოციალურ შეღავათებზე დაახლოებით 96.5 მლნ ლარი დაიხარჯა, რაც 2020 წელს ამ მიმართულებით გაწეულ ხარჯებს 19%-ით აღემატება.

საბჭომ განიხილა „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების პროექტი, რომლის თანახმადაც, 2022 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის თანხები განაწილდება. გეგმის მიხედვით, 2022 წელს 20 მლნ ლარია გამოყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურული და სასოფლო-სამეურნეო პროექტებისათვის, ხოლო დაახლოებით 5 მლნ ლარი გამოიყოფა მაღალმთიან დასახლებებში სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელებისთვის.



აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარე – საქართველოში

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თავმჯდომარე, საჰიბა გაფაროვა დელეგაციასთან ერთად ეწვია. თბილისის, შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში სტუმარს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აზერბაიჯანის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი არჩილ თალაკვაძე დახვდა.

ვიზიტის ფარგლებში, მეჯლისის თავმჯდომარემ შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილთან გამართა. შეხვედრის შემდეგ, შალვა პაპუაშვილმა და საჰიბა გაფაროვა პრესისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთებს. ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილისა და საქართველო-აზერბაიჯანის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელის, არჩილ თალაკვაძის შეხვედრა აზერბაიჯანი-საქართველოს მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელ არზუ ნაღიევთან.

ეჰ, რას გააგებინებ დაჩლუნგებულ ოპოზიციას...

ივანიშვილი „ქართუ ბანკს“ იმიტომ ყიდის, სანქციების ეშინიაო!

„ნაცმოძრაობას“ ჟანრის კრიზისის თვალსაზრისით, მორიგი რეციდივი აქვს. ამჯერად კვლავ ტერმინ „სანქციებთან“ დაკავშირებით. ერთი ფრთა კვლავ ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სანქციებთან მიერთების გარეშე - უკრაინა ომს ვერ მოიგებს. მეორე ფრთა უკვე მერამდენე წელიწადია უშედეგოდ ცდილობს ბიძინა ივანიშვილისთვის რაიმე ტიპის სანქციების დაწესებას, – წერს სოციალურ ქსელში ექსპერტი დავით ქართველიშვილი „მთავარ არხზე“ გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით.

„ნაცმოძრაობას ჟანრის კრიზისის თვალსაზრისით, მორიგი რეციდივი აქვს. ამჯერად კვლავ ტერმინ „სანქციებთან“ დაკავშირებით — ერთი ფრთა კვლავ ცდილობს დაამტკიცოს, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სანქციებთან მიერთების გარეშე - უკრაინა ომს ვერ მოიგებს. მეორე ფრთა უკვე მერამდენე წელიწადია უშედეგოდ ცდილობს ბიძინა ივანიშვილისთვის რაიმე ტიპის სანქციების დაწესებას და საკუთარ საბანკო ანგარიშებს რომ არ ადევნებენ თვალს — ისეთი ზედმიწევნით აკონტროლებენ ივანიშვილის მიერ საკუთარი, პირადი აქტივების გასხვისების პროცესებს.

არც „ქართუ ბანკი“ შეხვდა მას წინაპრებისეული მემკვდრეობით და არც ახალია მისი შესაძლო გასხვისებასთან დაკავშირებული ისტორია — ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ივანიშვილის მაგივრად „ქართუ ბანკი“ უკვე არაერთხელ „გაყიდა“ რადიკალურმა ოპოზიციამ. მაგრამ დღეს — განსაკუთრებული შემთხვევაა: „ქართუ ბანკს“ იმიტომ ყიდის, რომ სანქციების ეშინიაო. საკუთარი ამომრჩევლის „დაჩლუნგების“ კოეფიციენტი აკვიატებულად ცდილობს დამსახურებულ ფსკერს მერამდენედ გასცდეს.

ამ ჩლუნგების გასაგებად მინდა ვთქვა, უბრალო კრედიტ-ოფიცრების დონეზეც კი, თუ თქვენთან დაკავშირებით რაიმე რისკები არსებობს, 100 ლარს ვერ ეღირსებით სამომხმარებლო სესხის დონეზეც კი. მით უმეტეს, ამა თუ იმ მსხვილ კლიენტთან მიმართებაში არსებული რისკების თაობაზე მშვენივრად არიან ინფორმირებული მსოფლიო საბანკო სექტორის „ზვიგენები“. ერთ-ერთ მათგანს - „კრედიტ სუისს ბანკს“ ივანიშვილისთვის 500 მილიონი ევროს გადახდა დაავალა სასამართლომ, და ივანიშვილის შესაძლო „სანქციირების“ თაობაზე „კრედიტ სუისს ბანკს“ რაიმე, თუნდაც გადაუმოწმებელი ინფორმაცია რომ ჰქონოდა, დროის გაყვანისა და გადახდის თავიდან არიდების მიზნით — ამ სასამართლო გადაწყვეტილებას გაასაჩივრებდნენ მაინც. როგორ ვოცნებობთ, საქართველოში პლინტუს ქვემოთ ოპოზიციის ადგილი, ინტელექტით, ლოგიკით, მინიმალური საგანმანათლებლო ცენზის მქონე პოლიტიკურმა ძალებმა და მათმა ღირსეულმა ამომრჩეველმა დაიკავოს, მაგრამ ამაოდ...ამიტომ, არსებულ ჩლუნგებთან ტრადიციული შეკითხვები გვრჩება: რატომ??? რეიზა???“.

დავით ქართველიშვილი

ირაკლი კობახიძე: ოპოზიციას ერთადერთი სიკეთის გაკეთება შეუძლია – არ შეუქმნან დაბრკოლებები კითხვარის სათანადოდ შევსებას

ერთადერთი, რაც შეუძლია ოპოზიციის რადიკალურ ნაწილს გააკეთოს ამ პროცესში სიკეთე, ეს არის ის, რომ დაბრკოლებები არ შეუქმნან კითხვარის სათანადო შევსებას, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა. მისი თქმით, პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც საკითხთან მიმართებით განსხვავებული ინტერესები აქვთ, კითხვარის შევსების პროცესში ღრმად ვერ ჩართავენ.

„ისინი არიან დაინტერესებულები საპირისპირო შედეგით. სამწუხაროდ ეს მათ აჩვენეს, როგორც ვიზალიბერალიზაციის საკითხის განხილვისას, ასევე, მოგვიანებით, ყოველ ჯერზე, როდესაც საქმე ეხებოდა საქართველოს დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციას. იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული ინტერესები, ბუნებრივია, ჩვენ ვერ ჩავრთავთ ასეთ პროცესებში მეტისმეტად ღრმად“, – განაცხადა კობახიძემ.

თეა წულუკიანი: სააკაშვილს ნუ ვაწყენთ, პატიმარს გართობა სჭირდება!

სააკაშვილს შეუძლია, ნებისმიერი ტიპის კონსულტაციები გამართოს, ნუ ვუწყენთ, რადგან პატიმარს, რომელსაც წინ აქვს რამდენიმე წელი ციხეში, სჭირდება გარკვეული გართობა, – ამის შესახებ კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა, რითაც უპასუხა კითხვას მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, რომელმაც ვადამდელი არჩევნების დანიშვნის გეგმაზე პოლიტიკური კონსულტაციები დაიწყო.

„როგორც ვიცით, ციხეში არჩევნები არ ტარდება და არავის არ ირჩევენ. შესაბამისად მას შეუძლია, ნებისმიერი ტიპის კონსულტაციები გამართოს. საქართველოში რიგგარეშე არჩევნები არ იგეგმება. ნუ ვუწყენთ და ნუ გავუბრაზდებით, რადგან პატიმარს, რომელსაც წინ აქვს რამდენიმე წელი ციხეში, სჭირდება გარკვეული ანტურაჟი, გარკვეული გართობა და ამისათვის მას ყველამ ხელი უნდა შევუწყოთ; მაგრამ ვერავითარი პოლიტიკური არეულობის გამოწვევის მიზეზი ის ვერ იქნება. მას უბრალოდ, არ გააჩნია, მით უმეტეს საპატიმროდან, ამისი რესურსი“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

ლევან იოსელიანი: არც კრიზისია და არც არაფერი ისეთი, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს

„მოქალაქეების“ წევრი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი, ლევან იოსელიანი, ჟურნალისტებთან საუბრისას, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ლევან ხაბეიშვილის განცხადებას გამოეხმაურა

„მგონი, ყველა ვხედავთ, რომ ახლა ვადამდელი არჩევნების წინაპირობა არ არის. არც კრიზისია და არც არაფერი ისეთი, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს. ზოგადად, მგონი, ვადამდელ არჩევნებზე საუბარი ახლა აზრსმოკლებულია. ჩვენი მოქალაქეებისთვის კიდევ რაღაცის შეპირება, მერე იმედგაცრუება, ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, პოლიტიკისა და პოლიტიკოსებისადმი ძალიან დაბალ ნდობას იწვევს. ვადამდელი არჩევნების მომხრე ისედაც არ ვარ, მაგრამ, ზოგადად არ ვარ მომხრე ოპოზიციამ ისეთი დაპირებები გასცეს, რომელსაც ვერ შეასრულებს, იმიტომ, რომ ვადამდელი არჩევნები 2024 წლამდე, ჩემი აზრით, არ იქნება“, – განაცხადა ლევან იოსელიანმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა, ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ხვალ, 20 აპრილს, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სასამართლო პროცესზე, ვადამდელი არჩევნების გეგმასთან დაკავშირებით ისაუბრებს.

წყლის ნაყვა, თუ ტირანიის დამარცხება?

„სამოქალაქო სექტორის“ ორგანიზებით ამ რამდენიმე დღის წინ ბაკურიანში ჩატარდა ტრენინგი დევიზით „როგორ დავამარცხოთ ტირანია“.

მე კი ამ შეკრებას „როგორ დავნაყოთ წყალი, როცა არც ქვასანაყი გვაქვს და არც წყალი“ დავარქვი.

ზუსტად ეს დასახელება შეესაბამება იმ შეკრებას, სადაც ნაცებმა და ე.წ. სამოქალაქო სექტორის „წარმომადგენლებმა“ საქართველოში ტირანიის დასრულებაზე „იმსჯელეს“.

ვინ ვინ და ნაცებმა კარგად იციან რა არის ტირანია და ეს იციან არა ვიღაც ქოუჩის, პიტერ აკერმანის ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებიდან, არამედ იმ საქციელიდან რასაც თავად სჩადიოდნენ.

ამ გამოთაყვანებულ „სამოქალაქო სექტორზე“ კი ლაპარაკიც ზედმეტია. თუ არ გჯერათ, შეხედეთ თვალებში, დააკვირდით მათ გამომეტყველებას და თავად მიხვდებით.

ჩვენ გვაქვს სამი აღიარებითი ჩვენება – ბოკერია, მშვენიერაძე, ვაშაძე, სამივემ აღიარა, რომ შეკრებაზე განიხილებოდა ხელისუფლების ცვლილების საკითხი – საკმაოდ საინტერესო სათაური ჰქონდა ამ ღონისძიებას – „როგორ დავასრულო ტირანია“ და... ტირანია, რომ არ გაქვს და დასრულებას ცდილობ, ამიტომ ხარ სწორედ წარუმატებელი , – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ –პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა, რითაც ბაკურიანში გამართულ შეხვედრას გამოეხმაურა.

ყოველთვის ვამბობდი, რომ კაბინეტის კედლებზე გაკრული სერტიფიკატები განათლების და მითუმეტეს ინტელექტის მაჩვენებელი არ არის.

რევოლუციებს ქოუჩები ვერ ახდენენ. რევოლუციები იდეის ნაყოფია (რუსეთის მოქალაქე ვინმე ნაყოფია არ გეგონოთ. ამ შემთხვევაში შედეგი ვიგულისხმე).

რევოლუციას აკერმანი ვერ მოახდენს. ვერ მოახდენს იმიტომ, რომ მას არა იდეა, არამედ ფული ამოძრავებს.

რევოლუცია პარვუსების, რობერსპიერების, მარატების, ულიანოვ-ლენინების, კასტროების და მსგავსი ხალხის იდეების განხორციელებაა.

ᲓᲘᲐᲮ, ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ!

იდეების, ინტელექტის აფეთქების, იატაქვეშეთში პროკლამაციების ბეჭდვის და გამარჯვების რწმენის შედეგი და არა სადღაც „რუმსში“ რბილ სკამებზე ჯდომის, ქათერინგის მოლოდინის და საღამოს ტრენინგის შემდეგ უაზროდ დათრობის ნაყოფი.

ქოუჩების მოწყობილი რევოლუციების მე პირადად არ მწამს (დარწმუნებული ვარ არც იმათ), მაგრამ რუმსში ორი-სამი დღით განტვირთვა კარგია.

(ᲓᲐᲗᲠᲔᲜᲘᲜᲒᲔᲒᲣᲚᲔᲑᲘ – ᲗᲣ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐᲗ, ᲓᲐᲒᲣᲒᲚᲔᲗ).

ერთ-ერთმა ნაც-საინფორმაციო საშუალებამ დაწერა, რომ „ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი მედიების მიერ ვრცელდება ყალბი ინფორმაცია, იმასთან დაკავშირებით, თითქოს გასულ კვირას, სახელმწიფო გადატრიალების დასაგეგმად ფართო შეხვედრა გაიმართა ბაკურიანში, რომელსაც დემოკრატიის მცველების თავმჯდომარე გიორგი მშვენიერაძეც ესწრებოდა. ამ ტიპის ყალბი ინფორმაციის გავრცელება, რომლის მიზანიც საზოგადოების „მოსალოდნელი არეულობით“ დაშინებაა, ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი ქცევაა, რაც ბაკურიანში გამართული ტრენინგის (შეხვედრის) ერთ-ერთი განსახილველი საკითხიც იყო.

სინამდვილეში, ბაკურიანში გამართული შეხვედრა, ისე როგორც მანამდე გამართული არაერთი თავყრილობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო მოძრაობებთან თუ ოპოზიციურ პარტიებთან, ემსახურება ერთადერთ მიზანს – საქართველოში ავტორიტარიზმის დამარცხება მოხდეს დემოკრატიული პროცესით და არაძალადობრივი წინააღმდეგობით. პიტერ აკერმანი, რომელიც ამ შეხვედრაში მონაწილეობდა და საინტერესო გამოცდილება და ცოდნა გაგვიზიარა, წარმოადგენს არაძალადობრივი კონფლიქტების საერთაშორისო ცენტრს, რომელიც არა მხოლოდ იზიარებს, არამედ ავრცელებს ტირანიებისა და ავტორიტარიზმის წინააღმდეგ არაძალადობრივად ბრძოლის ფილოსოფიას“..

ᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔ, ᲣᲙᲔᲒ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲘᲓᲒᲘᲜᲔ ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲑᲠᲔᲨᲘ ᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲠᲐᲘᲜᲓᲘᲡ ᲐᲑᲔᲖᲐᲠᲨᲘ ᲩᲐᲛᲔᲖᲓᲐᲠᲘ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲐᲫᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲖᲛᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲘᲗ ᲐᲑᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ.

დემოკრატია კი გვინევერის მსგავსად უკვე გაუპატიურებულია ნაცების და არასამთავრობო სექტორის მიერ. ახლა კი მათ ყოფილი რაინდის მალიგანის მსგავსად ვინმე პიტერ აკერმანი დაემატა.

შემეძლო ბაკურიანში შეკრებილი რევკომის ბოდვა ავტორიტარიზმის შესახებ ქარის წისქვილებთან ბრძოლისთვის შემედარებინა, მაგრამ დონ კიხოტს არ ვაკადრებ (თან არც ეცოდინებათ, თუ ვინ იყო).



ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲐᲫᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲘᲐᲚᲘ ᲕᲐᲠᲩᲘᲐ.

ᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲫᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ „ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ“ ᲕᲣᲠᲩᲘᲝ – ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲓᲘᲗ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲜᲐᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲫᲜᲔᲑ ᲑᲜᲔᲚ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲨᲐᲕᲘ ᲙᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲒᲔᲪᲐᲓᲐᲗ?

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

რა შანსები აქვს საქართველოს კანდიდატის სტატუსის მისაღებად?!

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲨᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲛᲘᲝᲠᲓ ᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲕᲐᲠᲐᲣᲓᲔᲑᲓᲐ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ – ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ Ი�გᲜᲝᲠᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲬᲘᲜ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲐ: �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲡᲛᲣᲚ 369 ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ ᲡᲐᲛᲘᲝᲠᲓ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲠᲩᲔᲑᲐ. ᲗᲐᲕᲐᲓ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘᲪ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲓᲠᲝ ᲨᲔᲛᲭᲘᲓᲠᲝᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓᲐᲐ ᲨᲔᲛᲭᲘᲓᲠᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐᲪ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ.

ამდენად, ახლა უკვე „ბურთი“ საქართველოს მოედანზეა და პროცესზე დამკვირვებლები, განსაკუთრებული მღელვარებით ელიან ყველაზე პრობლემურ სფეროდ აღქმული მართლმსაჯულების თვალსაზრისით დასმულ კითხვებზე პასუხებს, რომელიც საკვანძო საკითხად იქცა საქართველოსა და ევროკავშირს შორი ურთიერთობებში და საქმე იქამდეც მივიდა, რომ ბლოკმა თბილისს ფინანსური დახმარების ნაწილი შეუჩერა.

„სად გვაქვს ყველაზე დიდი სირთულეები, ეს კითხვარის გარეშეც ვიცოდით – ესაა მართლმსაჯულების ნაწილი. მხოლოდ აღწერილობით ნაწილს არ სთხოვენ ხელისუფლებას, 85-ე, 86-ე, 87-ე, 88-ე კითხვები ეხება, თუ როგორაა უზრუნველყოფილი მოსამართლეების მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, ანგარიშვალდებულება, როგორაა დისციპლინური რეგულირება სასამართლო ხელისუფლების – ძალიან პრობლემური სფეროა და ძალიან მნიშვნელოვანი კითხვებია.

მარცვლეულის მზარდი წარმოება გადაუდებელი სახალხო აუცილებლობაა!

ძვეძანა, რომელსაც გააჩნია ყველა პირობა მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის, მისი მოყვანის უნარ-ჩვევები და ტრადიციები, მარცვლეულის გადამამუშავებელი საწარმოო სიმძლავრეები და წარმოებული პროდუქციის გასაღების ადგილობრივი ბაზარი, არ უნდა იყოს აბსოლუტურად დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებიდან მარცვლეულის იმპორტზე.

გასათვალისწინებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება მოსალოდნელი სასურსათო კრიზისის შესახებ 2022-2025 წლებში და, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა დედამიწაზე.

შიმშილის ძირითად მიზეზს მრავალ ქვეყანაში წარმოადგენს არა მოსახლეობის სიჭარბე ან მიწის რესურსების ნაკლებობა, არამედ სოფლის მეურნეობის მართვის სისტემების არასრულყოფილება. ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რესურსების ოპტიმალურ და ეფექტიან გამოყენებას, მათი სპეციფიკის მიხედვით.

მარცვლეულის წარმოების არსებითი გადიდება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მოხდება მისი წარმოების მატერიალურ-ეკონომიკური სტიმულირების ყველა არსებული ბერკეტის და საშუალების გამოყენება.

მარცვლის წარმოების სტიმულირება მრავალი მიმართულებით შეიძლება. კერძოდ, მარცვლეული ნათესის გათავისუფლება გადასახადისგან. შესაძლოა გამოყენებულ იქნეს აგრეთვე წარმოებული მარცვლის სახელმწიფოსგან გარანტირებული შესყიდვის, შეღავათიანი საკრედიტო, სადაზღვევო სისტემები, პირდაპირი სუბსიდიები (ეს არ იქნება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებების დარღვევა, რადგან, ამ ორგანიზაციის წესდების თანახმად, ქვეყანას შეუძლია საექსპორტო შემოსავლების 5% წარმართოს მნიშვნელოვანი დარგების სუბსიდირებაზე) და სხვ. აღნიშნული მიზნების რეალიზაციაში თვალსაჩინო როლი ენიჭება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჯიშთა გამოცდის სამსახურის აღდგენას.

ეკონომიკური გათვლების შედეგად გამოვლინდა, რომ 2027 წლისთვის, თანამედროვე აგროტექნოლოგიებისა და ბიოსტიმულიატორების გამოყენების საფუძველზე ხორბლის ფართობის ოპტიმალურ ზღვრად შეიძლება მივიჩნიოთ: 110,0 ათასი ჰა, მოსავალი — 440.0 ათასი ტონა, სამარცვლე სიმინდის, შესაბამისად - 120,0 ათასი ჰა და 720,0 ათასი ტონა, საფურაჟე სიმინდის 50 ათასი ჰა და 300 ათასი ტონა. ქერის — 40,0 ათასი ჰა და 140,0 ათასი ტონა, შვრიის — 20,0 ათასი ჰა და 60,0 ათასი ტონა. 2025 წელს ხორბლის ნათესმა ფართობმა უნდა შეადგინოს 90 ათასი ჰა, მოსავალი 340 ათასი ტონა. სიმინდისამ შესაბამისად 150 ათასი ჰა, მოსავალი 750 ათასი ტონა. ეს იქნება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფისკენ, ადგილობრივი წარმოების მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის დონის 60-65%-მდე გაზრდისათვის, ამჟამინდელი 15 პროცენტის ნაცვლად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ მხრივ ხორბლისა და სიმინდის წარმოების ზრდას ენიჭება, რომლებზეც მოდის საქართველოში წარმოებული მარცვლეულის თითქმის 9/10 (88.2%).

ხორბლისა და სიმინდის ნათესი ფართობები 2027 წლისთვის

მიმდინარე 2022 წელს, ხორბალი უნდა დაითესოს, სულ ცოტა, 70 ათას ჰა-ზე, მოსავალი — 240 ათასი ტონა. სიმინდის (სამარცვლე, საფურაჟე) ნათესი ფართობი უნდა გაიზარდოს 80 ათასი ჰა-დან 130 ათას ჰა-მდე, მოსავალი- 520 ათასი ტონა. პარალელურად, გადაუდებელ ამოცანად მესახება, რომ საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართოს მეგობარ სახელმწიფოებს (საფრანგეთი, აშშ, კანადა...) ჩვენი ქვეყნისთვის მაღალხარისხიანი სათესლე მარცვლეულის გამოყოფის თაობაზე.

	სულ საქართველო	მათ შორის რეგიონები:									
		აჭარა	იმერეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	გურია	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	შიდა ქართლი	მცხეთა-მთიანეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	სამცხე-ჯავახეთი
სულ	280,0	4,0	54,0	51,8	11,2	3,5	29,7	11,5	66,8	38,4	9,1
მათ შორის:											
ხორბალი	110	–	0,7	–	–	–	25,0	5,0	50,0	23,0	6,3
სიმინდი	170	4,0	53,3	51,8	11,2	3,5	4,7	6,5	16,8	15,4	2,8

პრობლემის კიდევ უფრო გამძაფრების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა ქვეყნის შიგნით მარცვლეულის წარმოების გადიდების ყველა რეზერვის ამოქმედება, რისთვისაც, უპირველეს ყოვლისა, მისაღებია ფინანსურად, ტექნიკურ-ტექნოლოგიურად და ორგანიზაციულად უზრუნველყოფილი მარცვლეულის მწარმოებელთა მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა — „მარცვალი“, რომელშიც ასევე გათვალისწინებული იქნება საკუთარი მაღალი რეპროდუქციის თესლის წარმოების ორგანიზაციული ღონისძიებები. მარცვლეულის, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სურსათის წარმოება, ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად იქნეს მიჩნეული, როგორც მოკლე და საშუალო, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ მოითხოვს მსოფლიო სურსათის წარმოებაში შექმნილი ობიექტური რეალობა, საქართველოს საერთო ეკონომიკური ინტერესები და სურსათით უზრუნველყოფის ამოცანები.

დასახული ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობა მოითხოვს ქვეყანაში არსებული აგრარული პოლიტიკის შეცვლას და მის გლობალურ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანას.

საქმე ეხება ეროვნული ეკონომიკის სფეროს, რომელიც მიუხედავად ბოლო წლებში გატარებული ღონისძიებებისა, ჯერაც დეპრესიულ მდგომარეობაშია და აგრომეურნეს, რომლის სტიმულირების დონე კრიტიკულზე დაბალია. არადა, სწორედ ის ქმნის ადამიანთა საარსებო საკვებს და სწორედ მის მიერ შექმნილი პროდუქციის დეფიციტის გამო არის კრიზისი. ამასთან,მისაღებია რიგი კანონებისა — „საქართველოს სასურსათო უშიშროების შესახებ“, „მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის დაცვისა და სურსათით ვაჭრობის შესახებ და სხვა, რომლებიც გახდებიან გარკვეული ორიენტირები აგროწარმოების აღორძინებისა და სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის საქმეში.

პრობლემის დაძლევა არსებითად ხელისუფლების ძალისხმევასა და პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. პრინციპულად ხაზს ვუსვამ, რომ:

—სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტული ამოცანაა;

— მთავრობის კომპეტენტურობა და აგროსასურსათო პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი და მიმართულება გადამწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიმშილისგან გადარჩენისთვის.

პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი

ასევე ძალიან საყურადღებოა, მაგალითად, 196-ე კითხვა, კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ, მათ შორის ეს ფარულ მიყურადებასაც ეხება.

კითხვები რთულია და საინტერესოა პასუხები. კარგია, რომ დოკუმენტი საჯარო გახდა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, პროცესი ბოლომდე ინკლუზიური იყოს და პასუხებიც გასაჯაროვდეს“, — ამბობს **„აქცენტთან“** ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ევროინტეგრაციის პროგრამის ხელმძღვანელი **ვანო ჩხიკვაძე**.

უკრაინის ფაქტორი შემდეგ ეტაპზეც იმუშავებს?

მიუხედავად სირთულეებისა, ჩხიკვაძე ელის, რომ საქართველო კანდიდატის სტატუსის მიღებას უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად შეძლებს:

„აქ ორი მდგენელი არსებობს: ტექნიკური (პასუხები) და პოლიტიკური (გადაწყვეტილება). ვფიქრობ, რომ პოლიტიკური ნაწილი იქნება განმსაზღვრელი (როგორც ეს ამ ეტაპზე გადმოსვლის შემთხვევაში მოხდა), ვიდრე ის, თუ ამ ეტაპზე საქართველო რამდენად აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს ევროკავშირის წევრობის კრიტერიუმებს. ამდენად, მგონია (ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს), რომ კანდიდატის სტატუსს მივიღებთ და უკვე შემდეგ ეტაპზე (გაწევრების შესახებ მოლაპარაკებები) გადასვლა დიდწილად იქნება დამოკიდებული იმ რეფორმებზე, რომლებსაც ევროკავშირი განსაზღვრავს კანდიდატის სტატუსის მონიჭების შემდეგ: იქნება კონკრეტული პირობები და თუ ჩვენ რეალურად გვსურს, რომ გაწევრების გზაზე წინ წავიწიოთ, ამ პირობების შესრულება მოგვიწევს. გაწევრების მოლაპარაკებები საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოიცავს მოლაპარაკებების 35 თავს. და როდესაც წევრობის საკითხი დღის წესრიგში დადგება, ვფიქრობ, იმ დროისთვის განსხვავებული ვითარება იქნება როგორც ჩვენთან — ქვეყანაში, ისე ევროკავშირში“.

ჩხიკვაძე განმარტავს, რომ კანდიდატის სტატუსის მთავარი ბენეფიტი ორი გარემოებაა:

- **პოლიტიკურ გზავნილი;**
- **ევროკავშირის რესურსებზე წვდომა.**

„კანდიდატის სტატუსით პოლიტიკურად გაცილებით მაღალ დონეზე გადავდივართ, რასაც გასული წლის ბოლოს ვერც კი წარმოვიდგენდით: ეს არის პოლიტიკური გზავნილი, რომ ქვეყანა ევროკავშირის გზაზე განუხრელად დგას, და სამწუხარო კითხვებს საგარეო კურსთან დაკავშირებით, რომლებიც ისმოდა, შეიძლება ითქვას, რომ უკან მოვიტოვებთ. ვიქნებით ქვეყანა, რომელსაც წევრობამდე ერთი ეტაპი ექნება დარჩენილი. ამასთან, საქართველოს მიეცემა შესაძლებლობა, უფრო მეტ ფინანსურ რესურსზე ჰქონდეს წვდომა“.

რაც შეეხება მმართველი გუნდის მცდელობას, საკუთარ მიღწევად წარმოაჩინოს ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული ესა თუ ის პროგრესი, ჩხიკვაძე მართებულად არ მიიჩნევს და გვახსენებს, რომ არჩევანი ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე დადასტურა საზოგადოებამ, მას შემდეგ კი ხელისუფლებამ ამ მისწრაფების მატერიალიზება უნდა მოახდინონ: თანამშრომლობის შესახებ პირველი ხელშეკრულება 1996 წელს გაფორმდა; აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა, რომელმაც შემდეგ მოიტანა ასოცირების ხელშეკრულება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა და გაჩნდა უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა, 2009 წელს გამოიკვეთა.

„ესაა მშენებლობის პროცესი, რომლის ფარგლებშიც თითო აგურს ყველა დებს“, — დასძენს ჩხიკვაძე.

დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის 14 სოფლის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის 58 მილიონი ლარის პროექტები ხორციელდება

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ქალაქ დედოფლისწყაროსა და მუნიციპალიტეტის 14 სოფლის: ხორნაბუჯის, სამრეკლოს, ფიროსმანის, სამთაწყაროს, თავწყაროს, ჭოეთის, საბათლოს, ზემო ქედის, ქვემო ქედის, არხილოსკალოს, გამარჯვების, არბოშიკის, ზემო მაჩხაანის და მირზაანის 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად სამშენებლო სამუშაოებს აქტიურად განაგრძობს.

შესრულებული სამუშაოები კომპანიის დირექტორის მოადგილემ, აკაკი მშვიდობაძემ, დედოფლისწყაროს მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად ადგილზე დაათვალიერა და მშენებლობის პროგრესი შეაფასა. აკაკი მშვიდობაძე მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის მოსახლეობასაც შეხვდა და ადგილობრივებს პროექტის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებზე ინფორმაცია მიაწოდა.

„სამუშაოები ეტაპობრივად 2023 წლის ბოლოსთვის დასრულდება. შედეგად 21 000 ბენეფიციარს ექნება შესაძლებლობა, რომ უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგებით ისარგებლოს.“ — განაცხადა აკაკი მშვიდობაძემ.

პროექტის ფარგლებში ასევე, მოეწყობა წყალმომარაგების სრულიად ახალი, ცენტრალიზებული სისტემა. დაგეგმილია რეზერვუარების, ჭაბურღილების, სატუმბო სადგურებისა და სათავე ნაგებობების რეაბილიტაციამშენებლობები.

ქვეყნის მტრები განუსულები რომ იყვნენ!..

სუსი: 2021 წელს კვლავ გამოწვევად რჩებოდა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საუცხოო „მოღვაწეობა“...

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა პარლამენტს განსახილველად 2021 წლის ანგარიში წარუდგინა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველოსთვის კვლავ გამოწვევად რჩებოდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების საქმიანობა და მათი მხრიდან, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩარევის მცდელობები.

> **„აქტიურად გამოიყენებოდა ე.წ. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტები საქართველოზე ზეგავლენის ბერკეტების მოსაპოვებლად. კვლავ აქტუალური იყო საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიების წარმოება“,** — აღნიშნულია დოკუმენტში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მიუთითებს, რომ საანგარიშო პერიოდში, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, საფრთხეების გამოვლენა-პრევენციის მიზნით გატარებული ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად, გამოავლინეს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების დაინტერესების სფეროები და მისწრაფებები.

> **„მათი სადაზვერვო საქმიანობის მეთოდებისა და ფორმების გამოვლენის მიზნით აქტიურად ტარდებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებული კონტრდაზვერვითი ღონისძიებები. მიმდინარეობდა საფარქვეშ მოქმედი უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების წარმომადგენელთა, ასევე მათთან შესაძლო კავშირში მყოფი პირების და ჯგუფების გამოვლენა-დადგენა, მათი საქმიანობის შესწავლა და შეზღუდვა. აღნიშნული საქმიანობის შედეგად, საქართველოში დიპლომატიური საფარით მოქმედმა და მათთან კავშირზე მყოფმა პირებმა დატოვეს ქვეყანა, ხოლო გარკვეული ნაწილის მიმართ, ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვის მიზნით, გამოყენებულ იქნა სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები“,** — აღნიშნულია სუს-ის დოკუმენტში.

2021 წელს უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობის განსაკუთრებული მიზნის ობიექტი იყო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თითქმის ყველა ასპექტი.

> **„მათ შორის, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დეტალები, სამხედრო საკითხები, პოლიტიკური ძალებისა და მათი ლიდერების საქმიანობა, ეკონომიკური პროექტები, საკანონმდებლო რეფორმები, საზოგადოებისა და საექსპერტო წრეების განწყობები, მიგრაციული პროცესები და სოციალური თემები. საანგარიშო პერიოდში უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურები აქტიურ ინტერესს იჩენდნენ თავდაცვის სფეროში მიმდინარე აქტივობების, არსებული ვითარებისა და სამომავლო გეგმების მიმართ. აღნიშნული, მათ შორის, უკავშირდებოდა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და თავდაცვის სისტემების ნატოს სტანდარტებთან მიახლოების პროცესს“,** — წერია სუს-ის ანგარიშში.

კრემლი აქტიურად ცდილობდა ოკუპირებული აფხაზეთის ენერგეტიკაში საკუთარი გავლენის გაზრდას

„2021 წელს კრემლი აქტიურად ცდილობდა ოკუპირებული აფხაზეთის ენერგეტიკაში საკუთარი გავლენის გაზრდას. ანექსიისკენ მიმართული პოლიტიკის ნაწილი იყო ოკუპირებული აფხაზეთის ენერგეტიკის სფეროში მსხვილი რუსული ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობის შესახებ დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებები“, — ამის შესახებ აღნიშნულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის ანგარიშში, რომელიც პარლამენტს განსახილველად წარედგინა. დოკუმენტის მიხედვით, გასულ წელს რამდენჯერმე წამოიჭრა ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური რუსების „პოლიტიკურ პროცესებში“ მონაწილეობის საჭიროების საკითხი, მათ შორის, „რუს თანამემამულეთა ორგანიზაციების“ კონსოლიდაციის გზითაც.

> **„საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა სახიფათო ტენდენცია, რომლის ფარგლებშიც აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ცალკეულმა წარმომადგენლებმა ოკუპირებულ რეგიონში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კრიტიკულად შეზღუდვა განიზრახეს. აღნიშნული მიზნად ისახავდა ოკუპირებული რეგიონის იზოლაციას და ადგილზე ანექსიური პროცესების განხორციელების გამარტივებას. 2021 წელს კვლავ განიხილებოდა ოკუპირებული გაგრის რაიონის სოფელ აიბლას „რუსეთისთვის მიკუთვნების“ საკითხი. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ცდილობდა აღნიშნული საკითხისთვის აქტუალობის დაკარგვას და კონკრეტიკის გარეშე აცხადებდა, რომ ხსენებულ მონაკვეთზე რუსეთის ფედერაციას „ტერიტორიული პრეტენზიები“ არ აქვს.**

> **მნიშვნელოვან საფრთხედ რჩებოდა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ანექსიის საკითხი, ვინაიდან ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო რეჟიმი კვლავ ღიად უჭერდა მხარს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას. საოკუპაციო ძალა ოკუპირებული ცხინვალის ანექსიის საფუძვლად „ერთიანი ოსეთის“ გამოგონილ ცნებას იყენებს, რაც ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკასა და ოკუპირებულ ცხინვალში მცხოვრები მოსახლეობის ე.წ. გაერთიანებას გულისხმობს“,** — აღნიშნულია სუს-ის ანგარიშში.

„დიპლომატიური საფარით მოქმედმა პირებმა ქვეყანა დატოვეს“

> **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, 2021 წელს რუსეთის ფედერაციამ მნიშვნელოვნად გააქტიურა ძალისხმევა მეზობელი ქვეყნების მიმართ საკუთარი ექსპანსიური პოლიტიკის გასატარებლად.**

აღნიშნული, სუს-ის ხედვით, მათ შორის, გამოიხატებოდა როგორც რეგიონის ქვეყნების საზღვრებთან ან/და უშუალოდ მათ ტერიტორიებზე ინტენსიური სამხედრო წვრთნების ჩატარებაში, ისე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების ღია განცხადებებსა და რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა საკითხის გარშემო გაჟღერებულ ულტიმატუმებში. ხოლო 2021 წლის მიწურულს უკრაინასთან დაკავშირებით შექმნილმა ვითარებამ არსებითად დააზიანა რეგიონის უსაფრთხოების გარემო:

> **„რუსეთი აქტიურად ცდილობდა, მაქსიმალურად გაეძლიერებინა სამხედრო პოზიციები შავი ზღვის რეგიონში და სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენებით, რეგიონზე მოეპოვებინა მყარი, გრძელვადიანი ბერკეტები. აღნიშნულმა დამატებითი გამოწვევები შექმნა საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის“,** — აღნიშნავენ სუს-ში და დასძენენ, რომ ვითარებას მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირებებიც ართულებდა.

სუს-ის ანგარიშის თანახმად, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში, საფრთხეების გამოვლენა-პრევენციის მიზნით გატარებული ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად, სამსახურის მიერ გამოვლინდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების დაინტერესების სფეროები და მისწრაფებები, მიმდინარეობდა საფარქვეშ მოქმედი უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების წარმომადგენელთა, ასევე მათთან შესაძლო კავშირში მყოფი პირების და ჯგუფების გამოვლენა-დადგენა, მათი საქმიანობის შესწავლა და შეზღუდვა“.

> **„აღნიშნული საქმიანობის შედეგად, საქართველოში დიპლომატიური საფარით მოქმედმა და მათთან კავშირზე მყოფმა პირებმა დატოვეს ქვეყანა, ხოლო გარკვეული ნაწილის მიმართ, ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვის მიზნით, გამოყენებულ იქნა სასაზღვრო კონტროლის მექანიზმები“,** — აღნიშნულია ანგარიშში.

ამ „ქეისების“ დეტალები, ისევე, როგორც გამოვლენილ პირთა რაოდენობა და მათ დაკავებაზე მინიშნება, მასში არ გვხვდება. ანგარიშის მიხედვით, უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების სადაზვერვო საქმიანობის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თითქმის ყველა ასპექტი, მათ შორის — საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის დეტალები, სამხედრო საკითხები, პოლიტიკური ძალებისა და მათი ლიდერების საქმიანობა, ეკონომიკური პროექტები, საკანონმდებლო რეფორმები, საზოგადოებისა და საექსპერტო წრეების განწყობები, მიგრაციული პროცესები და სოციალური თემები.

როგორც უწყებაში აღნიშნავენ, საქართველოზე გავლენის ბერკეტების მოპოვება-გაძლიერებით დაინტერესებული გარეაქტორები საკუთარი იდეოლოგიური, რელიგიური და ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზებისთვის სხვა რესურსებთან ერთად, იყენებდნენ მათდამი მატერიალური ან/და სხვა დაინტერესების გამო ლოიალურად განწყობილი საქართველოს მოქალაქეების შესაძლებლობებს, ასევე საქართველოში სხვადასხვა სტატუსით მყოფ უცხოეთის მოქალაქეებს:

> **„მოპოვებული ინფორმაციისა და ფაქტობრივ მასალათა საფუძველზე, სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა 2021 წელს გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 10 საქმეზე. სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 2 საქმეზე. ამასთანავე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია, ქვემდებარეობით, იგზავნებოდა სხვა საგამოძიებო უწყებებში, სადაც გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეზე“.**

სუს-ის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 2021 წელს გამოიკვეთა დესტრუქციულ გარე აქტორებთან შესაძლო კავშირის მქონე პოლიტიკური ძალების სხვადასხვა ფორმით გააქტიურების ტენდენციაც:

> **„აღნიშნული სუბიექტების მხრიდან, სხვადასხვა პლატფორმის გამოყენებით (მათ შორის სოციალური ქსელები, ვებგვერდები, ინტერნეტ-ტელევიზია, ტელემაუწყებლობა) აქტიურად მიმდინარეობდა პროდასავლური კურსის საწინააღმდეგო პროპაგანდა. ისინი ბოროტად იყენებდნენ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებას და მიზანმიმართულად ეწეოდნენ დემოკრატიის დამაზიანებელი იდეოლოგიის გავრცელებას“.**

„აქცენტი“

ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების, ჯგუფურად დიდი ოდენობით სხვისი ქონების თაღლითურად დაუფლებისა და დაუფლების მცდელობის ფაქტზე, ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა კომპანიის საკუთრებაში რიცხული, კახეთის რეგიონში მდებარე, ჯამში 850 000 ლარზე მეტი ღირებულების სამი ერთეული მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლების მიზნით, გააყალბეს თითქოსდა ინდოეთის დედაქალაქ დელიში გაცემული მინდობილობები და საქართველოში შედგენილი კომპანიის პარტნიორთა კრების ოქმი, რომლის საფუძველზეც გაასხვისეს ერთ-ერთი მიწის ნაკვეთი, ხოლო დარჩენილი ორი მიწის ნაკვეთის გასხვისება სცადეს სხვა პირზე.

მიწის ნაკვეთები დღეის მდგომარეობით დაყადაღებულია.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 (19), 180-ე მუხლის მე-2 და მე-3 და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

◎ ტრიუმფი ეტლით

გუნდურშიც, პირადშიც...

საქართველოს ეტლით მოფარიკავე ქალთა ნაკრები გუნდურ შეჯიბრებაში სან პაულუს მსოფლიო თასის გათამაშების ოქროს მედლის მფლობელია.

ჩვენი გუნდის წევრებმა — ირმა ხეცურიანმა, ნინა თიბილაშვილმა და გვანცა ზადიშვილმა ტურნირის ნახევარფინალში ტაილანდის ნაკრები ანგარიშით 45:10 დაამარცხეს, ხოლო ფინალში იტალიის ძლიერ გუნდს 45:26 სძლიეს.

ტურნირი საქართველოს ნაკრებმა ექვსი მედლით დაასრულა. ჩვენი გოგონების ანგარიშზე ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალია.

ირმა ხეცურიანმა ხმლით ასპარეზობის პირადი ტურნირის ფინალში ასევე იტალიელი როსანა პასკულინი 15:7 დაამარცხა, ხოლო ნინა თიბილაშვილმა ნახევარფინალური დაპირისპირება იტალიელ ანდრეა მოგოსთან დათმო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

◎ თაობა

მოოქროვილი ვერცხლი

დასანანი, ერთქულიანი მარცხი ევროპის ახალგაზრდული ლიგის ფინალში. საქართველოს 14-წლამდელთა გუნდს, რომელმაც ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა, მთავარი ტიტულის მოგებამდე მცირედი დააკლდა. ამროსი ორმოცაძისა და მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილმა გუნდმა, რომელშიც სეზონის მანძილზე 40-ამდე 14-წლამდელი მოთამაშე გამოიცადა, ლიგის ფინალში გავიდა, სადაც 60:61 დამარცხდა უნგრულ „რატგებერთან“.

იშვიათად ხდება, რომ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ფინალში წაგებული გუნდის კალათბურთელი სახელდება, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა ამ მხრივ ყველა კითხვის ნიშანი მოხსნილი გახლდათ. სუპერფინალური ტურნირის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე **მათე ხატიაშვილი** გახლდათ, რომელიც 1 თავით მაღლა იდგა ყველა ოპონენტზე. ფინალში მათემ 29 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი მიითვალა, რომლის დასანანად წაგების შემდეგ ტურნირის MVP-ის ტიტული და მეორეადგილოსანისთვის განკუთვნილი თასი ჩაიბარა. მასვე გადაეცა სუპერფინალის ბომბარდირის პრიზი და რა თქმა უნდა, დასახელდა ტურნირის სიმბოლური ხუთეულის წევრად.

ევროპის ლიგაში ასპარეზობით ქართველმა 14-წლამდელებმა დიდი გამოცდილება მიიღეს, რომელიც მათ განვითარებას და კონკურენტუნარიან მოთამაშეებად ჩამოყალიბებაში დაეხმარებათ. მათე ხატიაშვილი ლატვიიდან ესპანეთში დაბრუნდება, სადაც ის “ბასკონიაში“ ვარჯიშობს ამ კლუბსა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს 14-წლამდელთა გუნდმა ევროპის ახალგაზრდულ ლიგაში პირველ ეტაპზე 15 მატჩი გამართა, საიდანაც 10 მოიგო და დასკვნით ეტაპზე იასპარეზა. სუპერფინალს ლატვიის დედაქალაქმა უმასპინძლა, სადაც საქართველომ ძლიერი ლიეტუვური და ლატვიური გუნდები დაამარცხა და ფინალში გავიდა, სადაც ტურნირზე „უაილდ ქარდით“ მიწვეულ უნგრულ გუნდთან ქულით დამარცხდა. „რატგებერს“ ამ სეზონში ევროპის ლიგაზე სუპერფინალამდე მონაწილეობა არ მიუღია.

◎ ბრძენთა თამაში

სეზონის რჩეულნი

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ 2021 წლის საუკეთესოები გამოავლინა სხვადასხვა ნომინაციაში:

საუკეთესო მოჭადრაკე ქალი — **ნანა ძაგნიძე,**

საუკეთესო მოჭადრაკე ვაჟი — **ლუკა პაიჭაძე,**

საუკეთესო ახალგაზრდა მოჭადრაკე — **ნიკოლოზ კაჭარავა,**

საუკეთესო 14 წლამდე მოჭადრაკე — **ანასტასია კირთაძე,**

საუკეთესო მწვრთნელი — **ელიზბარ უბილავა,**

საუკეთესო გუნდი — **ქალთა ნაკრები,**

საუკეთესო რეგიონი — იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია (პრეზიდენტი **ზაზა ლომინაძე**),

საუკეთესო მსაჯი — **სალომე სირაძე,**

სამართლიანი თამაშის წესებისათვის მებრძოლი — **ბაადურ ჯობავა.**

◎ ფორმულა 1

ძალა ერთობაშია

ფორმულა 1-ში ბიუჯეტების ჭერის შემოღებამ გუნდებს ბევრი პრობლემა შეუქმნა. განსაკუთრებით ტოპ-საჯინიბოებს გაუჭირდათ, რომლებიც საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენებას ვერ ახერხებენ, რადგან ხარჯების მხრივ მკაცრად შეზღუდულები არიან.

შექმნილ სიტუაციაში გამოსავალი შეიძლება იყოს გუნდებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რითაც ხარჯების გადანაწილებაა შესაძლებელი. როგორც ირკვევა, სწორედ ასეთი გამოსავალი ნახეს „ფერარიმ“ და „ჰაასმა“. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ამერიკული გუნდის ინჟინრები მარანელოში მუშაობენ, სადაც მათ ცალკე სამუშაო ცენტრი გაუხსნეს.

ეს ის ინჟინრები არიან, რომლებიც ბიუჯეტის ჭერში ჩასატევად „ფერარიმ“ დაითხოვა. მათ „ჰაასში“ გადაინაცვლეს, თუმცა რეალურად სამუშაო ადგილი არც შეუცვლიათ. მათ მიერ შესრულებული სამუშაო რეალურად „ფერარის“ (ასევე „ჰაასსაც“) ხმარდება, ხარჯები კი ამერიკულ მხარეს ეწერება. ეს ყველაფერი „ფერარის“ მეტი ხარჯის გაწევის (და მეტი ხეირის მიღების) საშუალებას აძლევს, რითაც ხეირს მისი პარტნიორი გუნდიც ნახულობს.

სხვათა შორის, „აასი“ პელოტონში ერთადერთი გუნდია, რომელიც საკუთარ შასის არ ამზადებს. ამ კომპონენტს სარბოლო ავტომობილების მწარმოებლის, იტალიურ კომპანია „დალარასგან“ ღებულობს.

ამ გარემოებათა გამო უკმაყოფილოა „მაკლარენის“ შეფი ანდრეას ზაიდლი „მინდა ყველამ გაიგოს — ჩვენ პოზიციას არ განაპირობებს მეტოქეების სიჩქარე. ჩვენ წლების განმავლობაში პრინციპებს არ ვცვლით. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენი გუნდი მონაწილეობს ფ1-ის რბოლებში — 10 თუ 12. ყველა საკუთარ შასის უნდა აწარმოებდეს და დაუშვებელია გუნდებს შორის ინფორმაციის გაცვლა“.

შესაძლებელია სხვისი ძრავის, გადაცემათა კოლოფის გამოყენება. მორჩა. მეტი არაფერი. ერთობლივად არ უნდა იყენებდნენ ინფრასტრუქტურას, რადგან როგორც კი ორი გუნდი ერთ ჭერქვეშ მუშაობას იწყებს, ინფორმაციის გაცვლა გარდაუვალი ხდება. FIA-ში ამბობენ, რომ ამის კონტროლი ძნელია. თუ ასეა, მაშინ აკრძალონ ერთად მუშაობა, თორემ რა გამოდის — სუსტი გუნდი იოლად ახერხებს საშუალო შედეგების მიღწევას. მეორეც, ლიდერ გუნდს დამატებითი სამუშაოს შესრულება შეუძლია, რაც მეტოქეებთან უპირატესობას ანიჭებს“, — დასძენს ზაიდლი.

ის ამბობს, რომ გუნდებს, FIA-სა და ფორმულა 1-ს შორის, უკვე მიმდინარეობს დიალოგი ამ საკითხზე.

◎ კორტზე

ალბათ, ითამაშებს

ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი რაფაელ ნადალი ვარჯიშს დაუბრუნდა. ნეკნის სტრესული მოტეხილობის გამო მას ოთხი კვირა გაუცდა და როდის გამოვა კორტზე, ჯერ უცნობია. სავარაუდოდ, საფრანგეთის ღია პირველობამდე, რომელიც 13-ჯერ აქვს მოგებული, მოთელვისთვის რომელიმე ტურნირზე ითამაშებს.

35 წლის ნადალმა ბოლოს ინდიან უელსის ფინალში ამერიკელ ტეილორ ფრიცთან ითამაშა და დამარცხდა. ამავე ტრავმის გამო ნადალს თიხნარის სეზონის დასაწყისში არ უთამაშია — ბარსელონას და მონტე კარლოს ტურნირები გამოტოვა.

„ოთხთვიანი პაუზის შემდეგ საჩოგბურთო კორტზე ფეხი შევდგი და პირველი მსუბუქი ვარჯიში ჩავატარე“, — ტვიტერზე წერს ნადალი, ვისაც მამაკაცებს შორის, ჩოგბურთის ისტორიაში დიდი სლემის ყველაზე მეტი, 21 ტიტული აქვს მოპოვებული.

საფრანგეთის ღია პირველობა 22 მაისს დაიწყება. მანამდე კი მასტერს 1000-ის სერიის ორი, მადრიდის და რომის ტურნირი გაიმართება და სავარაუდოდ, ესპანელი რომელიმეზე იასპარეზებს.

◎ მარათონი

კენიელებმა ბოსტონი მოიგეს

ბოსტონის მარათონი კენიელი მორბენლების გამარჯვებით დასრულდა. ქალთა შორის ფინიში პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა პერეს ჯეპჩირჩირმა გადალახა, მამაკაცთა შორის კი გამარჯვება ეევანს ჩებეტმა მოიპოვა.

მაშინ, როდესაც დისტანციის დასრულებას კილომეტრნახევარზე ოდნავ მეტი აკლდა, ჯეპჩირჩირმა ეთიოპიელი აბაბელ იეშანე ჩამოიტოვა და ლიდერობა დაიბრუნა. ბოლო მონაკვეთზე გამარჯვებისთვის სწორედ ამ ორმა მორბენალმა იბრძოლა. საბოლოოდ ფინიშთან ოთხი წამით ადრე ჯეპჩირჩირი მივიდა, ვისაც ნიუ იორკის შარშანდელი მარათონიც მოგებული აქვს.

„მე ვგრძნობდი, რომ ის ძლიერი იყო. მე მთელი გზა ვცდილობდი, ის წინ არ გამეშვა. ძალიან დავიღალე და ერთ მომენტში ჩამოვრჩი კიდეც, მაგრამ იმედი არ დამიკარგავს. მადლობა ღმერთს, მოვახერხე და გამარჯვება შევძელი“, — განაცხადა ჯეპჩირჩირმა. ის პირველი მორბენალი ქალია, ვისაც ოლიმპიადის გარდა, ნიუ იორკის და ბოსტონის მარათონებიც მოგებული აქვს.

მისგან განსხვავებით, ჩებეტმა კარიერაში პირველი დიდი მარათონი მოიგო. მან უკან მოიტოვა ორი თანამემამულე — ლორენს ჩერონო და ბენსონ კიპრუტო, რომლებმაც შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

ჩებეტმა 35 კილომეტრის შემდეგ გაზარდა ტემპი და ფინიშთან 18 წამით მიასწრო ბოსტონის მარათონის 2019 წლის გამარჯვებულ ჩერონოს. ჩებეტს ლონდონის და პარიზის მარათონები მეოთხე ადგილზე აქვს დამთავრებული.

◎ ველორბოლა

დილანის რუბე

სულ რაღაც ექვსი თვის წინათ ჰოლანდიელმა დილან ვან ბაარლემ ერთდღიანი რბოლა „ქვინ ოფ კლასიკსი“ დროითი ლიმიტის მილმა დაასრულა, გუშინ კი მან პარიზი-რუბეს ურთულესი რბოლა მოიგო.

29 წლის ვან ბაარლემ („ინეოს გრენადერსი“), ვინც ორი კვირის წინათ ფლანდრიის ტური მეორე ადგილზე დაასრულა, ფინიშამდე 19 კილომეტრით ადრე ქვაფენილიან სექტორზე გადამწყვეტი შეტევა დაიწყო, რა დროსაც მისმა საშუალო სიჩქარემ 45.79 კმ/სთ-ს მიაღწია. მის შეტევას ვერავინ უპასუხა და ვან ბაარლემ ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

გამარჯვებულს წუთით და 47 წამით ჩამორჩა ბელგიელი ვუტ ვან აერტი, ვისაც ორი კვირა კორონავირუსის გამო გაუცდა. საფინიშო სპრინტში, რომელიც რუბეს ველოდრომზე გაიმართა, მან შვეიცარიელი შტეფან კუენგი („გრუპამა-FDJ“) ჩამოიტოვა.

„საკუთარ თვალებს ვერ ვუჯერებდი, როდესაც ველოდრომზე შევედი. მეორე მხარეს გავიხედე, რათა დამენახა, სხვები ახლოს თუ იყვნენ, მაგრამ იქ მხოლოდ მე ვიყავი. ველოდრომზე პირველი ადრე არასდროს ვყოფილვარ. გასულ სეზონში დროით ლიმიტშიც კი ვერ ჩავეტიე, მაგრამ ამჯერად სულ სხვა რბოლა მქონდა“, — განაცხადა ვან ბაარლემ.

მხოლოდ მეცხრე ადგილს დასჯერდა ფავორიტი, ჰოლანდიელი მატიო ვან დერ პოელი, ვინც გამარჯვებულს ორ წუთზე მეტით ჩამორჩა.

ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ, ᲗᲣ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ ᲜᲐᲢᲝᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ, ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ!..

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲗᲐᲜ მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებების ფარგლებში კიევმა უსაფრთხოების ცხადი გარანტიების სანაცვლოდ, ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმა შესაძლებლობად განიხილა. თუმცა, ამის წინაპირობად უკრაინის ტერიტორიიდან რუსული ძალების სრული გასვლის შემდეგ, საკითხზე რეფერენდუმის გამართვა დაასახელა.

რას ნიშნავს საქართველოსთვის უკრაინის მიერ ალიანსისკენ სწრაფვაზე უარის თქმა – ნატოში შეერთებული შტატების ყოფილი წარმომადგენელი და საქართველოსა და უკრაინაში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩები მსჯელობენ იმაზე თუ როგორი შეიძლება იყოს საქართველოს წინაშე შექმნილი ვითარება, მოვლენების ამგვარი განვითარების შემთხვევაში.

„ამ ქვეყანას (უკრაინას), მის ხელისუფლებას უკვე მოუწია უარის თქმა ნატოზე, რაც იყო მისი მხრიდან სასტარტო შეთავაზება – სასტარტო შეთავაზება, წარმოიდგინეთ, რუსეთის მიმართ. ეს არის, რა თქმა უნდა უმძიმესი მდგომარეობა. შესაბამისად სახეზეა მოცემულობა, რაც არის ძალიან სამწუხარო ჩვენთვის და ჩვენი ამოცანაა, ბუნებრივია, ეს ყველაფერი ავაცილოთ ჩვენს ქვეყანას“, – განაცხადა ოთხ აპრილს, პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

თუმცა მოვლენათა ქრონოლოგია აჩვენებს, რომ ალიანსში უკრაინისა და მასთან ერთად, საქრათველოს გაწევრებაზე უარის თქმა მოსკოვმა დასავლეთისგან ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მოითხოვა. ამ მოთხოვნაზე რუსეთმა ვაშინგტონისა და ალიანსისგან მტკიცე უარი მიიღო. ამასთან, მიმდინარე მოლაპარაკებებში კიევს გადაწყვეტით არ უთქვამს, რომ ნატოში გაწევრებაზე უარს ამბობს.

„უკრაინამ თქვა, რომ როგორც შეთანხმების ნაწილი, მზად არის განიხილოს ნატოში არ-გაწევრიანების საკითხი. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება არ გაწევრდნენ ნატოში. მაგრამ მაშინაც კი, თუ ეს უკრაინის პოზიცია იქნება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ვერ შეძლებს ნატოში გაწევრებას. ნატოს ღია კარის პოლიტიკა უცვლელია. კარი ღიაა ყველასთვის, ვისაც სურს ალიანსს შეუერთდეს და ამისთვის მოთხოვნებს აკმაყოფილებს“, – ამბობს „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას უკრაინაში აშშ-ის ყოფილი ელჩი ჯონ ჰერბსტი.

ნატოში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი, კურტ ვოლკერი „ამერიკის ხმასთან“ საუბრისას ამბობს, რომ უკრაინის მხირდან, ნეიტრალიტეტზე საუბარს, შესაძლოა, კონკრეტული მიზანი ჰქონდეს.

„მჯერა, რომ მიზეზი, რის გამოც ზელენსკი ამბობს, რომ შესაძლოა ნეიტრალიტეტს დათანხმდეს, არის იმის დემონსტრირება, რომ ეს საკითხი პუტინს სრულებით არ აინტერესებს. პუტინი თავს ესხმის უკრაინას ნებისმიერ შემთხვევაში, ნატოს წევრობის საკითხისგან დამოუკიდებლად. ის თავს ესხმის უკრაინას, რადგან სურს ახლიდან შექმნას რუსეთის იმპერია და გაანადგუროს უკრაინა, როგორც სუვერენული სახელმწიფო. ასე რომ, ნეიტრალიტეტზე საუბრით, ზელენსკი ძირს უთხრის პუტინის არგუმენტს, რომ ეს ყველაფერი რეალურად ნატოს ეხება. სინამდვილეში კი ნატო არაფერ შუაშია. ვფიქრობ, ზელენსკი გონივრულად იქცევა, როცა ამას აკეთებს“, – ამბობს ვოლკერი.

გარდა ამისა, ვოლკერი ამბობს, რომ ნეიტრალიტეტის მოდელი, რომელზეც უკრაინა საუბრობს, შესაძლოა მალე აღარ არსებობდეს. კიევი, ნეიტრალიტეტისა და უსფართხოების გარანტიების კონტექსტში შვედურ და ფინურ მოდელს განიხილავს. თავად ჰელსინკი და სტოკჰოლმი უკრაინის წინააღმდეგ რუსული აგრესიის ფონზე, ნატოში გაწევრებაზე უკვე აქტიურად საუბრობს. ვოლკერის თქმით, მოსალოდნელია, რომ ალიანსმა ორივე ქვეყანა ზაფხულში დაგეგმილ სამიტზე ნატოში წევრობისთვის მიიწვიოს.

მაგრამ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, თუ საბოლოო ჯამში, კიევი უსაფრთხოების გარანტიებით ნატოზე უარს იტყვის? ვოლკერი თეორიულად რამდენიმე შესაძლო სცენარს განიხილავს და ამბობს, რომ დასავლეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ რეგიონში, ე.წ. რუხი ზონები აღარ არსებობდეს.

„რაც შეეხება საქართველოს, იმ შემთხვევაში თუ უკრაინა ნეიტრალურ სტატუსზე წავა – თუ ეს ნამდვილად მოხდა, თუ რუსეთი ამას მიიღებს, პუტინი ხელისუფლებაში დარჩება და დასავლეთის ქვეყნებიც ამას დათანხმდება, ეს ალბათ შექმნის მოდელს, რომლის შესახებაც საქართველოსთან და მოლდოვასთან ისაუბრებენ და ეტყვიან, „კეთილი, იქნებ ეს მოდელი თქვენც მოგერგოთ“... მაგრამ, თუ ეს ასე არ მოხდა - და მე მჯერა, რომ ეს ასე არ მოხდება - და უფრო სავარაუდოა, რომ რუსეთი დამარცხდება, უკრაინამ კვლავ უნდა შეხედოს ნატოს, არის თუ არა პროგრესი ალიანსში მისი შეყვანის მიზნით. მე ვფიქრობ, ჩვენ ასევე გადავალთ საქართველოსა და მოლდოვას ნატოში ერთდროულად შეყვანისკენ. ამით ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ დავხურავთ ამ რუხ ზონებს.

უფრო სავარაუდო სცენარით მგონია, რომ რუსეთი მარცხდება, რომ ისინი არ რჩებიან უკრაინაში. პუტინი დარჩება თუ არა ხელისუფლებაში, ის დამარცხებულ რუსეთს უხელმძღვანელებს. ჩვენ კვლავ უნდა გადავხედოთ ნატოს საკითხს, რადგან არ შეგვიძლია დავუშვათ ამ რუხი ზონების არსებობა. არ შეგვიძლია დავუშვათ, რომ რუსეთი თავს დაესხას ქვეყნებს, რადგან ისინი არ არიან მეხუთე მუხლით დაცულნი“, – აცხადებს ვოლკერი.

ვიდრე უკრაინას და საქართველოს ნატოს მეხუთე მუხლი არ იცავს და ისინი რუსეთის რევიზიონიზმის წინაშე არიან, საქართველოს პოზიციონირება და უკრაინისადმი მხარდაჭერაც მტკიცედ პრინციპული უნდა იყოს, – ამბობენ საქართველოსა და უკრაინაში შეერთებული შატატების ყოფილი ელჩები.

ჰერბსტის თქმით, „მოსკოვის ისტორიული რევიზიონიზმი მისი ყველა მეზობელი ქვეყნისთვის ძალიან საშიშია“. მისი თქმით, უკრაინა და საქართველო ამ პოლიტიკის ყველაზე სახიფათო ასპექტებს განიცდის. „საქართველომ უნდა გააკეთოს თავისი არჩევანი. შეერთებული შტატები, ნატო, ერვოკავშირი, საქართველოსთან უკეთესი ურთიერთობებით არის დაინტერესებული და მჯერა ეს პოლიტიკა გაგრძელდება“, – ამბობს უკრაინაში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი.

1998-2001 წლებში, საქართველოში შეერთებული შტატების ელჩი კენეტ იალოვიცი ამბობს, რომ რუსეთთან „დათვის კვების“ პოლიტიკა არ მუშაობს.

„საქართველომ უნდა დიკავოს პოზიცია ქვეყნებთან, რომლებსაც კანონის და წესრიგის სწამთ და სჯერათ საერთაშორისო ურთიერთობების. საქართველომ ნათლად უნდა აჩვენოს, რომ იმ ქვეყნების გვერდით დგას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იმას, რასაც რუსეთი სჩადის. რუსეთი უკვე აპირებს „სამხრეთ ოსეთის“ მიტაცებას. რა სარგებელი მოუტანა საქართველოს რუსეთთან კარგი და დაბალნსებულმა ურთტიერთობამ?“ – აცხადებს იალოვიცი.

თუმცა, ნატოში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება სიფრთხილეს იჩენს და თბილისს ამისთვის რეალური საფუძველი ჰქონდა.

„ვიცი ძალიან მარტივი არგუმენტი, – საქართველო უკრაინას უჭერს მხარს, რადგან უკრაინა მსხვერპლია, რუსეთი აგრესორი და ჩვენ უკრაინის გამარჯვება გვინდა და ეს მართალია. ეს ძალიან მარტივი და სწორი არგუმენტია.

მე ვფიქრობ საქართველოს მთავრობა ძალიან ფრთხილად იქცევა, ყველა ფსონის დასაცავად, რადგან არ იცი რა იქნება საბოლოოდ.

მე ვიტყოდი გულწრფელად, როომ ბოლო ერთი-ორ კვირამდე დასავლეთი არ აჩვენებდა, რომ ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით, რაც შეგვეძლო. ვფიქრობ საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა საფუძველი, ეჭვი შეეტანა დასავლეთის გადაწყვეტაში“ – ამბობს ვოლკერი. მისივე თქმით, ახლა დასავლეთის რიტორიკაში ცვლილებებია და საქართველომ ეს უნდა გაითვალისწინოს.

„ბოლო ორი კვირა ბრიუსელში გავატარე. ვფიქრობ, დასავლეთში ცვლილებებია და ეს კიდევ ერთი ფაქტორია, რაც ქართველებმა უნდა გაითვალისწინონ. ახლა ევროკავშირი უკრაინაზე არ საუბრობს, როგორც გამოწვევაზე. ისინი უკრაინაზე საუბრობენ, როგორც ევროპულ ქვეყანაზე. ეს მენტალიტეტში ფუნდამენტური ცვლილებაა. ნატოში, სახელმწიფო მდივანი ბლინკენი საუბრობდა უკრაინისთვის იარაღის მიწოდების სიჩქარესა და მოცულობაზე, საჭირო იარაღის ტიპებზე. ეს ლექსიკა ძალიან განსხვავდება ერთი ან ორი კვირის წინანდელი ლექსიკისგან, იმ ნარატივისგან, რომელიც პრეზიდენტმა ბაიდენმა ბრიუსელში გააჟღერა. ეს ლექსიკა უფრო მეტად არის ორიენტირებული იმისკენ, თუ რა არის საჭირო უკრაინის გამარჯვებისთვის. ასე რომ, გასული ორი კვირის განმავლობაში, დასავლეთის ხედვაში მე ცვლილება აღმოვაჩინე“, – ამბობს ვოლკერი.

გასულ კვირაში, ბირუსელში გამართულ ნატოს მინისტერიალზე ალიანსის სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად საქართველოც იყო მიწვეული. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალიანსის გენერალურ მდივანს შეხვდა. მოგვიანებით იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ალიანსმა გადაწყვიტა უკრაინის დახმარების პარალელურად, თავდაცვის უნარიანობის გაზრდაში ასევე დეხმაროს საქართველოსა და ბოსნია-ჰერცოგოვინას. გენერალური მდივნის თქმით, ამ მიმართულებით საქართველოსთან მუშაობა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში გაგრძელდება.

ᲥᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲨᲐᲠᲐᲨᲔᲜᲘᲫᲔ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲝᲜᲑᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲡ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთმა აღმოსავლეთ უკრაინაში შეტევა დაიწყო. **„ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის ჯარებმა დონბასისთვის ბრძოლა დაიწყეს, რისთვისაც დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდნენ. რუსული არმიის დიდი ნაწილი ახლა ამ შეტევისკენაა მიმართული“**, – აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინა იბრძოლებს და თავს დაიცავს.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲖᲔᲪ ᲐᲠ ᲛᲝᲩᲐᲜᲡ

ᲑᲐᲔᲠᲝᲡ გენერალური მდივნის მოადგილემ, მარტინ გრიფიტსმა განაცხადა, რომ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტა ჰორიზონტზე არ მოჩანს.

გრიფიტსის თქმით, მიმდინარე კვირის ბოლოს თურქეთში გამგზავრებას აპირებს, სადაც თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიფ ერდოღანს შეხვდება, რათა გამოავლინონ გზები, რომლითაც გაეროს შეუძლია დაეხმაროს უკრაინასა და რუსეთს შორის სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესს.

მან ასევე აღნიშნა, რომ უკრაინის ოფიციალური პირები დათანხმდნენ გაეროს წინადადებების უმეტესობას ჰუმანიტარულ დახმარებასა და ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით, თუმცა რუსეთს მსგავსი პასუხი ჯერ არ გაუცია.

ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲪ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ

ᲘᲣᲠᲘ ᲓᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲡ **სახლთან საერთაშორისოდ აკრძალული კასეტური იარაღი მარტის დასაწყისში ჩამოვარდა. ამ ტიპის იარაღი რუსმა სამხედროებმა უკრაინაში შეჭრის შემდეგ არაერთხელ გამოიყენეს. უფლებადამცველებმა კასეტური ბომბის გამოყენების ფაქტი დაგმეს.**

კასეტური საბრძოლო მასალა რუსებისგან გასათავისუფლებლად გამოიყენეს უკრაინელებმაც. ამის შესახებ ვრცელ სტატიას გავლენიანი ამერიკული გამოცემა The New York Times ავრცელებს. გამოცემა იუწყება, რომ კასეტური ბომბი აღმოსავლეთ უკრაინაში, ჰუსარივკაში მარტის დასაწყისში მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებთან დაეცა და ამჯერად, ის რუსული ძალების მიერ არ იყო გასროლილი. ხორბლის მინდვრებითა და ბუნებრივი აირის მილსადენებით გარშემორტყმულ აგრარულ დასახლება ჰუსარივკაში ამ თავდასხმის დროს არავინ დაღუპულა. თუმცა, ამ პერიოდში სულ მცირე ორი ადამიანია მოკლული, რადგან უკრაინული ძალების სამიზნე რუსეთის ძალები იყო და მას თვის უმეტესი ნაწილის განმავლობაში ბომბავდნენ. უკრაინელების მიერ კასეტური იარაღით დაბომბვის დროს სოფელი მთლიანად რუსეთის კონტროლის ქვეშ იყო.

კასეტური საბრძოლო მასალის შესახებ კონვენცია ძალაში 2010 წელს შევიდა და მისი გამოყენება მშვიდობიანი მოსახლეობისთვის განუზომელი ზიანის მიყენების საფრთხის გამო აკრძალულია. კონვენციაზე 100 ზე მეტ ქვეყანას აქვს ხელი მოწერილი. ამ ქვეყნებს შორის არ არის აშშ, უკრაინა და რუსეთი. იური დოროშენკოს ქუჩაზე ვიზიტის დროს, Times-ის ჟურნალისტებმა იმ საარტილერიო რაკეტის დიდი ნაწილი ნახეს, რომელიც კასეტურ საბრძოლო მასალას ისროდა. აღნიშნული რაკეტით გასროლილი იარაღის ტიპის დადგენა შესაძლებელია. ადგილობრივები ამბობენ, რომ კასეტური ბომბი რუსული არმიის იმპროვიზებული შტაბინის მახლობლად დაეცა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამიზნე ნამდვილად იყო რუსული ძალები.

ᲪᲘᲜᲘᲖᲛᲘ: �პᲣᲢᲘᲜᲛᲐ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘ ᲑᲣᲩᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲐ!!!

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ **პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა რუსეთის სახმელეთო ჯარების 64-ე მსროლელ ბრიგადას მიანიჭა საპატიო წოდება „გვარდიელი“. პუტინის განკარგულება კრემლის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

დოკუმენტის ტექსტში ნათქვამია, რომ საპატიო წოდება მიენიჭა „მასობრივი გმირობისა და გამბედაობისთვის, სამშობლოსა და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, საბრძოლო ოპერაციებში გამოვლენილი სიმტკიცისა და სიმამაცისთვის“.

უკრაინის თავდაცვის სამინისტრო მიიჩნევს, რომ სწორედ 64-ე მსროლელი ბრიგადის სამხედროები მონაწილეობდნენ კიევის ოლქის ქალაქ ბუჩაში მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ ხოცვა-ჟლეტასა და წამებაში. რუსეთი ირწმუნება, რომ რუსი სამხედროები უკრაინაში სამოქალაქო პირებს თავს არ დასხმიან. კრემლი ბუჩის ხოცვა-ჟლეტის ამსახველ კადრებს პროვოკაციასა და ინსცენირებას უწოდებს.

ᲘᲠᲞᲔᲜᲨᲘ 13 ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ

ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ **ქალაქში 700 ჰექტარი ფართობის ტერიტორია დაათვალიერეს, რაც მოიცავს 10 ათას სახლს და სხვა შენობებს. გამოვლინდა რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი არაერთი სამხედრო დანაშაული. უკრაინის სახელმწიფო საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ რუსი ჯარისკაცები იყენებდნენ ჟენევის კონვენციით აკრძალულ იარაღს და საბრძოლო მასალას.**

დოკუმენტურად აღწერილია რუსეთის არმიის მიერ მშვიდობიანი მოქალაქეების მიმართ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „გრადების“ ასევე საჰაერო ბალისტიკური რაკეტა „ისკანდერ-ემ“-ის გამოყენება, სამძებრო ოპერაციის დროს აღმოჩენილია 13 სამარხი.

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ:

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲝᲮᲠᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲞᲐᲢᲘᲔᲑᲗ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ **მერიაში დედაქალაქის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ისაუბრა.**

კახა კალაძემ სამშენებლო კომპანია „მონუმენტმშენს“ მიმართა, ამაღლების ქუჩაზე მშენებარე ობიექტი უმოკლეს ხანებში შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

„გვაქვს კონკრეტული შემთხვევა ისტორიულ ზონაში, ამაღლების ქუჩაზე, სადაც ერთ-ერთი მშენებლობის დროს გამოვლინდა სართულის უკანონოდ დაშენება. სამუშაოებს აწარმოებს კომპანია „მონუმენტმშენი“. არ ვიცი, ამ ადამიანებს რა დამოკიდებულება აქვთ ქალაქთან მიმართებაში. ცხადია, როდესაც ასეთ გადაწყვეტილებას იღებ და უკანონოდ ახორციელებ მშენებლობას, ამახინჯებ შეთანხმებულ პროექტს და ერთ სართულს კიდევ ამატებ, არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ ვიღაცას ეს გაუვა ან ვინმე გაუტარებს. ამას მოჰყვება ძალიან მკაცრი რეაგირება. მივიღებთ ყველანაირ შესაბამის ზომებს. შეიძლება, ეს იყოს ყველასთვის საჩვენებელი, თუ ჩემს მიერ დასახელებული კომპანია ძალიან მალე არ მოაწესრიგებს არსებულ მშენებლობას“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სამშენებლო ობიექტს კანონთან შესაბამისობაში არ მოიყვანს, ამ ყველაფერს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოჰყვება.

„კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამას მოჰყვება შესაბამისი სამსახურების მიერ ის რეაქცია, რომელიც კანონით არის გათვალისწინებული. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული და ბოლომდე ჩავყვებით. პირადად ვიქნები დაინტერესებული, რომ სამაგალითოდ დაისაჯოს ეს კომპანია და კონკრეტული ადამიანები. მოუწევთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, თუ ეს შენობა-ნაგებობა არ იქნება მოყვანილი შესაბამისობაში“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელს კახა გულედანს მიმართა, ყოველდღიურ რეჟიმში განახორციელოს მონიტორინგი და ჰქონდეს კომუნიკაცია მშენებელ კომპანიასთან, რათა რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს უკანონოდ დაშენებული სართულის დემონტაჟი.

„არავის დასჯას არ მივესალმები, მაგრამ ქალაქის აოხრებას და არასწორ ურბანულ განვითარებას არავის ვაპატიებთ. ჩვენ სწორედ იმიტომ აგვირჩია ხალხმა და იმიტომ გვაქვს ამხელა მხარდაჭერა, რომ ჩვენი ერთ-ერთი დაპირება სწორედ ქალაქის სწორი ურბანული განვითარება იყო.

გარდა ამისა, დედაქალაქის მერმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტმა მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ინიციატივა მიიღო, რაც სამშენებლო სამუშაოების დროს საეტაპო ოქმების წარდგენის გადავადებას გულისხმობს.

მისი თქმით, საეტაპო ოქმების წარდგენის ვალდებულება 2023 წლის პირველ იანვრამდე გადავადდება, აქამდე გამოწერილი ჯარიმები კი ჩამოეწერებათ. მომავალი წლიდან საეტაპო ოქმების წარდგენის ვალდებულება სრულად ამოქმედდება.

„აქვე, მინდა მივმართო მშენებლობის მწარმოებელ პირებს, გაითვალისწინონ, რომ მომავალი წლიდან, საეტაპო ოქმების წარდგენის ვალდებულება სრულად ამოქმედდება და სანებართვო პირობებში გაწერილი ვადების შესაბამისად, მათ მოუწევთ ანგარიშების წარდგენა მშენებლობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოებთან. წინაალმდეგ შემთხვევაში, ისინი დაჯარიმდებიან“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ყურადღება სამშენებლო ზედამხედველობის პროცესზეც გამახვილდა. კერძოდ, აღინიშნა, რომ სამშენებლო ობიექტზე თბილისის მუნიციპალური ინსპექციის გადაწყვეტილების ჩაბარების წესი შეიცვალა. კახა კალაძის განცხადებით, თუ მშენებლობის მწარმოებელი პირი მუნიციპალური ინსპექციის გადაწყვეტილების ჩაბარებაზე უარს ამბობს, იგი ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას განთავსდება და ჩაბარებულად ჩაითვლება.

* * *

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერმა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია მეტეხის ხიდის რეაბილიტაციას იწყებს.

„ინფრასტრუქტურული მიმართულებით, რომელიც ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტული თემაა, მინდა, მოგაწოდოთ ინფორმაცია მეტეხის ხიდის რეაბილიტაციაზე. დღეს უკვე ვიწყებთ უშუალოდ სამუშაოებს. ესეც ჩვენი წინასაარჩევნო დაპირება იყო. ხიდი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას და განახლებას. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია თაღების გამაგრება, ფასადების დამუშავება, სავალ ნაწილზე ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება, ტროტუარები მთლიანად განახლდება და ბუნებრივი ქვის ფილებით მოპირკეთდება. ასევე, ხიდზე არსებული თუჯის მოაჯირები იერსახის უცვლელად განახლდება. დაგეგმილი სამუშაოების გამო, დღეიდან მეტეხის ხიდზე საავტომობილო გადაადგილება ნაწილობრივ შეიზღუდება. საპატრულო პოლიცია გვეხმარება ამ ყველაფერში, რისთვისაც მინდა, მათ მადლობა გადავუხადო“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, სამუშაოებს, რომელიც ზაფხულის ბოლოს დასრულდება, კომპანია „ბესკო“ შეასრულებს. პროექტის ღირებულება, დაახლოებით, ორი მლნ ლარია.

ᲛᲐᲘᲜᲪ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲡᲐᲐᲚᲓᲒᲝᲛᲝᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲔᲢᲠᲝ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘ?

„ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲦᲐᲛᲔᲡ ᲛᲔᲢᲠᲝ ᲒᲐᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, 23 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ 24 Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ 4 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

გარდა ამისა, **24 და 25 აპრილს** დილის რვიდან **საღამოს რვა საათამდე** თბილისის სასაფლაოების მიმართულებით ავტობუსები უფასოდ იმოძრავებენ“.

- **მუნიციპალური ტრანსპორტი მგზავრებს მუხათგვერდისა და ვაშლიჯვრის სასაფლაოების მიმართულებით მეტროსადგურ „დიდუბიდან“ გაიყვანს;**
- **ძველი და ახალი კუკიის სასაფლაოებისკენ სადგურისა და კოტე მარჯანიშვილის მოედნებიდან;**
- **საბურთალოს საქალაქო სასაფლაომდე — მეტროსადგურ „დელისიდან“;**
- **ღრმაღელის საქალაქო სასაფლაოსკენ — მეტროსადგურ „სარაჯიშვილიდან“;**
- **ველის სასაფლაოსკენ მიმავალი ავტობუსი გაჩერდება ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩის 25-ე კორპუსის მიმდებარედ;**
- **ვარკეთილის საქალაქო სასაფლაოსკენ ავტობუსი იმოძრავებს მეტროსადგურ „ვარკეთილიდან“ და შუამთის ქუჩიდან.**

„ᲨᲔᲜ ᲯᲕᲐᲠᲡ ᲘᲬᲔᲠᲓᲘ, ᲘᲛ ᲦᲐᲛᲔᲡ, ᲛᲔᲠᲘ“ – ᲜᲝᲓᲐᲠ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲘ ᲓᲘᲮᲐᲛᲘᲜᲯᲘᲐ, (ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ).

„ᲛᲦᲔᲠᲘᲐᲜ ᲝᲥᲠᲝᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲢᲠᲔᲓᲔᲑᲘ“

„ᲧᲕᲔᲚᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲣᲑᲔᲓᲣᲠ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲡ“, – ასე იწყება დიდი ლევ ტოლსტოის გენიალური „ანა კარენინა“. დიახ, ხშირია, როცა ადამიანი თავის სიხარულთან, სიყვარულთან და ბედნიერებასთან ერთად მოულოდნელად უდიდესი ტანჯვა-წამებისა და უბედურების მატარებელი ხდება, რომლის ტარება წლებთან ერთად ბევრისთვის მსუბუქდება, რადგანაც ისეა გათავისებული, რომ მხოლოდ შენია და მხოლოდ შენ ძალგიძს მისი ტარება. იტყვიან დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ამგვარი უბედურება, ისე გაგისიგრძეგანებია, სიზიფეს ლოდის ნაცვლად ბუმბულად ქცეულა, მხოლოდ იმის გამო, რომ წინ უდიდესი ბედნიერება გულის – შენგან წასულ ადამიანებთან „შეხვედრის სიხარული“. ამის გამოისობით, რომ დარჩენილ, ცხოვრებას ლოცვაში, ფიქრებსა და იმ ლამაზ მოგონებებში ატარებ, რომელიც ღმერთმა გაჩუქა.

მერი დიხამინჯია – ბედისგან გამწარებული კოლხი ქალბატონი, ჩვენი კოლეგა, შესანიშნავი ჟურნალისტი, ცნობილი ჟურნალისტის, რედაქტორ-გამომცემლის ნოდარ ჯაველიძის მეუღლე და ასევე ახალგაზრდა ჟურნალისტის, ამქვეყნიდან ნაადრევად წასული ლაშა ჯაველიძის დედა.

რამდენიმე წლის წინ უდიდესი ტრაგედიის შემსწრენი გავხდით – ერთ დღეს მიაბარეს მიწას ბატონი ნოდარი და მისი ვაჟი ლაშა. მოწმენი გავხდით მართლაც დიდი მწუხარების გამო, ქვაოდქცეული, ულამაზესი და ერთ დროს უბედნიერესი ჩვენი მერის ხილვისა, რომელიც ყოველთვის დიდი სიყვარულისა და სიხარულის, ბედნიერების მფრქვეველი ადამიანი იყო.

„მძიმეა ჩემთვის აპრილი, მის სისასტიკეს ჯერ კიდევ მარტის დასაწყისშივე ვგრძნობ, როცა ჩვეული ღიმილით, სიყვარულით გამთბარი იები აღარ მოგაქვს, სამაგიეროდ კი იმხელა სევდას, მონატრებასა და მოგონებებს მიგზავნი, სიცოცხლის ბოლომდე რომ მყოფნის საგზლად, ჩემო ნაბოლარა, დიდგულა ლაშა. დიახ, დედის დღე პირველმა მომილოცა სიყრმის შვილმა, შენმა ძმამ, პაატამ. ვგრძნობდი რა ცეცხლი გიზგიზებდა მის გულში, როდესაც ცდილობდა არ შეემჩნია, რომ ამას თავისი ძმის ნაცვლადაც აკეთებდა, მაგრამ მე ხომ დედა ვარ, მადლობას გიხდი დაგუბებული ცრემლებით... ეს ჩემი, ცრემლიანი და ტკივილიანი სტრიქონები ლაშიკოს გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში დაიწერა და ახლა, როცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებია, მსურდა ეს მოგონებები მიმეძღვნა და დღესასწაული მიმელოცა მამაშვილისთვის. ამ პატარა იებმა გამახსენა, რომ ჩემს ლაშიკოს არ უყვარდა დიდი თაიგულები – ენძელებსა და იებს ხელისგულში მალავდა, მანამდე უბეში გამთბარს და ისე მჩუქნიდა“.

ასე იწყება ჩანაწერები, რომელიც ქალბატონმა მერიმ გადმომცა.

„მღერიან ოქროსფერი მტრედები“ – ასე უწოდებია ამ გულისტკივილისთვის. ქვემოთ წარწერილია – „დოკუმენტური რეკვიემი“, „დოკუმენტური ნარკვევი“, „მოკრძალებული გასაუბრება მგოსანთან“, მხოლოდ „რეკვიემი“. რამდენჯერმე ჩაუსწორებია კიდეც და შემდგომ მხოლოდ **რეკვიემი** დაუტოვებია.

გინდაც ნოველა დაარქვი, გინდაც ჩანახატი, გინდაც სულის ამოთქმა, ბევრ შესატყვისს იპოვი ლიტერატურის ამ ჟანრისთვის, მაგრამ ვიცით, რომ ეს შვილმკვდარი დედის, შესანიშნავი ვაჟკაცის ქვრივის სულის ამოტირებაა, კოლხური ბარია, ტკივილის ამომღერება, ჩვენთვის, ახლობლებისთვის გულის დარდის გაზიარებაა, გაჩუქებული სევდაა, ყველაზე მეტად კი დედის გულისცემაა, რომელსაც უზუსტესი კადრებით თვალწინ გაურბენს განვლილი ცხოვრება, უსაყვარლეს ადამიანებთან ერთად გატარებული დღეები, ტკივილი, სევდა და იმედი იმისა, რომ ისინი პირნათლად შეხვდებიან ერთმანეთს.

„სანდომიან ცის ელვა და ფერი, მწუხარე იყო ვით შემოდგომა“ – ასე წერდა საკუთარ თავთან დარჩენილი, სრულიად განმარტოებული და ყველასგან „მეფე ლირივით ატირებული“ პოეტი. შუა ღამე იწვოდა, მტრედისფრად შესუდრული, ლურჯად შეღებილი ცა კი სავსე იყო უხვი გრძნობებით, ვით იმ ღამეს პოეტის ბობოქარი გული. იდუმალი სიდინჯით, ჩაფიქრებული წამოდგებოდა და იმ ფანჯრიდან გადაიხედავდა, საიდანაც „სიო სარკმლით მონაქროლი ველთა ზღაპარს ეუბნებოდა“. შემდეგ ბრუნდებოდა მაგიდასთან და უიღბლო სიყვარულზე აგრძელებდა წერას. დიდო მგოსანო, ღმერთებთან მოსაუბრევ, ახლა დილის 6 საათია და შენი სიყვარულის თანამოსახელე, გაუბედურებული დედა ვაგრძელებ წერას. ვაგრძელებ წერას, თქვენგან განსხვავებით არა ჯვრისწერაზე, სიცოცხლეზე, არამედ სიკვდილზე, შვილის სიკვდილზე, რომლის უიღბლო სიყვარულიც კრახით დასრულდა, სიცოცხლე კი უკურნებელი სენით. მან მამასთან ერთად დატოვა წუთისოფელი და ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა. რა ბედნიერი ვიქნები მგოსანო, ახლა მეც თქვენსაგულში, როდესაც ცდილობდა არ შეემჩნია, რომ ამას თავისი ძმის ნაცვლადაც აკეთებდა, მაგრამ მე ხომ დედა ვარ, მადლობას გიხდი დაგუბებული ცრემლებით... ეს ჩემი, ცრემლიანი და ტკივილიანი სტრიქონები ლაშიკოს გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში დაიწერა და ახლა, როცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დღეებია, მსურდა ეს მოგონებები მიმეძღვნა და დღესასწაული მიმელოცა მამაშვილისთვის. ამ პატარა იებმა გამახსენა, რომ ჩემს ლაშიკოს არ უყვარდა დიდი თაიგულები – ენძელებსა და იებს ხელისგულში მალავდა, მანამდე უბეში გამთბარს და ისე მჩუქნიდა“.

„ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ, ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲗᲑᲐᲠᲘ ᲘᲔᲑᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲝᲒᲐᲥᲕᲡ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ“.
ᲚᲐᲨᲐ ᲯᲐᲕᲔᲚᲘᲫᲔ ᲓᲔᲓᲐᲡᲗᲐᲜ, ᲛᲔᲠᲘ ᲓᲘᲮᲐᲛᲘᲜᲯᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

ᲕᲘᲗ „ᲯᲕᲘᲡᲬᲔᲠᲐᲖᲔ“ ᲕᲬᲔᲠᲝ, ᲕᲬᲔᲠᲓᲔ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲛᲐᲝ, ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ“.

არადა წერდა სიყვარულსა და ჯვრისწერაზე, წერდა მაშინ, როდესაც ეს ლამაზი ქორწილი, დროთა განმავლობაში მწარე მოგონებად არ გადაიქცეოდა. სწორედ ქალბატონი მერისა და ბატონი ნოდარის ქორწილში მღეროდნენ „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი“.

„გავკადნიერდი და თავი მართლაც მერი მეგონა, გალაკტიონის მერი, ამიტომაც არის დიდო მგოსანო, ჩემს რეკვიემში მერი შერვაშიძე და თქვენი არაამქვეყნიური, ცალმხრივი თუ მართლაც შემოქმედებითი მუზის ნაყოფი გავიხსენე. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მოგონებები და ფიქრები ერთმანეთში ირევა, ბევრი რა მახსენდება, ამ ნარკვევში შევეცადე ერთად შემეკრა ყველა ნააზრევი და კარგად ავუხსნა ჩემს მკითხველს, განვუმარტო ამ რეკვიემის სათაური „ᲛᲦᲔᲠᲘᲐᲜ ᲝᲥᲠᲝᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲢᲠᲔᲓᲔᲑᲘ“.

ესეც ამონარიდია რეკვიემიდან. რაც შეეხება სათაურს „მღერიან ოქროსფერი მტრედები“ ეს ქალბატონი მერის პირველი პუბლიკაციის სათაურია დიდ ჟურნალისტიკაში, მისი პირველი ნაბიჯების, მისი პირველი დიდი სიხარულის გახსენება. იგი ეძღვნებოდა მაშინ ერთ-ერთი პოპულარული ანსამბლ „გორდელას“ შემოქმედებას. ეს წერილი რედაქციის პირველი შეკვეთა იყო დამწყები ჟურნალისტისთვის და სწორედ ამ სათაურით გაზეთმა „სახალხო განათლებამ“, მათი ქორწილის დღეს დაბეჭდა და სასიგნალო ნომერიც სწორედ საქორწინო მოგზაურობაში გამგზავრების წინ თვითმფრინავში გადასცეს რედაქციის თანამშრომლებმა.

გადის წლები და „ოქროსფერი მტრედები“ კიდევ ამოტივტივდებიან მერი დიხამინჯიას ცხოვრებაში.

„როცა ჩემი ლაშიკო ბოლო თვეებში ავადმყოფობდა, მისი ოთახის ფანჯრის რაფაზე თავს იყრიდნენ სხვადასხვა ფერის ღაბუა მტრედები, შავი, ნაცრისფერი, თეთრი, ოქროსფერი და ისეთ ლამაზ ფერთა ჰარმონიას ქმნიდნენ, თვალს ვერ მოწყვეტდით. მათ შორის იყო ერთი, ოქროსფერი, ყველაზე თამამი. ლაშიკო საწოლიდან საკენკს ესროდა, ისინი სხარტად იჭერდნენ და ეს ლაშას ახარებდა, გულიანად ხარხარებდა, სიამოვნებდა როგორ ნაყრდებოდნენ ეს შემოჩვეული და უშიშარი მტრედები, რომლებიც შემდეგ რკინის მილზე გადაინაცვლებდნენ, ჩამწკრივდებოდნენ და გასუსულები შეჰყურებდნენ ლაშას. ერთხელაც გავყარე მტრედები და ლაშას განწირული ხმა შემომესმა „რას შვები, დედა!“, შემოვბრუნდი და ოთახში, ფანჯრის ქვეშ პატარა ღაბუა ჩიტი დავინახე, რომელიც საშინლად გაწუწულიყო წვიმიან ამინდში. ავიყვანე, გულში ჩავიხუტე და გავიფიქრე „ჩემო ბეღურა ჩიტო, ჩემთან დარჩი და გათბი“.

ყველაზე დიდი საოცრებაა, როდესაც ლაშიკო დაიღუპა, არც ერთი მტრედი აღარ გამოჩენილა, არც ის ღაბუა ჩიტი, რომელიც მანამდე ხშირად გვსტუმრობდა ხოლმე.

ლაშიკო! ჩემო დედიკო! როცა შენი საძინებელი ოთახის სარკმელში დილის მზის სხივები შემოანათებს, მინდა დავიჯერო, რომ „ოქროსფერი მტრედი“, რომელმაც ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა, მოფრინდება და მეტყვის: „ეს მე ვარ, მე ვარ ის, რომელსაც შენ ქორწინებიდან დღემდე ელოდები“.

ო, რა სევდიანად ღუღუნებენ და მოფრინავენ „ოქროსფერი მტრედები“...

ნებისმიერ ნარკვევში, რომანში თუ მოგონებათა ციკლში ეპილოგია შეკვრა და დასასრულის მაუწყებელი აზრთა ჭიდილისა, მოგონებისა თუ ავტორის ფანტაზიის ნაყოფისა. ყველაზე რთული ეპილოგი, ანუ მკითხველთან გამოთხოვება, მაშინ იწერება, როდესაც შენი აზრების გამოთქმა უდიდესი ტრაგედიითა და ტკივილით გიწევს. რთულია, რადგან ამთავრებ შენი გულისტკივილის გაზიარებას და ძალაუნებურად, მაშინ, როდესაც თითქოს ტკივილი ჩაათავე, ახალი ტკივილი იწყება... საფიქრალი გიჩნდება (რაგინდ საკუთარი თავისთვის არ უნდა წერდე) თუ როგორ მიიღებს, გაიზიარებს, გაითავისებს მკითხველი შენს სატკივარს.

უკან დარჩა პირველი სიყვარულით გამოწვეული ბედნიერება – **„შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი“**, უკან დარჩა უდიდესი სიხარული და სიამაყე პირველი ლიტერატურული ჩანახატისა, რომელიც წამყვანმა რესპუბლიკურმა გაზეთმა თავის გვერდებზე მოათავსა და ახალგაზრდა, დამწყებ ჟურნალისტს სიურპრიზად ქორწინების დღეს მიართვა – **„მღერიან ოქროსფერი მტრედები“**, უკან დარჩა ნაბოლარა ვაჟკაცის მიერ გულში გამთბარი ია-ენძელების, თეთრი ვარდების, სიყვარულით მიძღვნილი თაიგულები დედისადმი, საუბედუროდ უკანასკნელად – **„თეთრი ვარდები თქვენთვის ვაგროვე, შიგ ჩავაქსოვე მე ჩემი გული“**, უკან დარჩა ტკივილიანი ღამეები მომაკვდავი მეუღლის სასთუმალთან, როდესაც ცხრა-მთას იქით, თურქეთის საავადმყოფოს პალატაში ნაბოლარა ვაჟი დედის მაგივრად უსაყვარლეს რძალს აბარებდა აღსარებას, უკან დარჩა საოცარი, ტკივილიანი და უმძიმესი დღეც, როდესაც ორი უსაყვარლესი ადამიანი ერთად დაიტირა და თბილისის მიწას მიაბარა...

ესეც ეპილოგი იმ დიდი ტრაგედიისა, ნარკვევისა, თუ ცრემლიანი რეკვიემისა, რომელიც გამთენიისას უძილო ღამეებში მოწოლილი ფიქრისა და ტკივილის შემდეგ იწერებოდა. ესეც რეკვიემის დასასრული.

„ვფიქრობ, ჩემი ტრაგიზმით სავსე სტრიქონები საყვარელ და ჩემგან მობეზრებულ მკითხველთან, როგორც შევძელი და მოვახერხე ჩემს მდგომარეობაში მყოფმა, ისე მივიტანე? ახლა ჩვენგან წასული საყვარელი ადამიანების ხსოვნის დღეებია, მათი არდაავიწყების დღეები, სულ მალე დადგება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, თანაბრად ვუნაწილებ ყველას ჩემს მტანჯველ ცრემლებს, უფალს კი ვევედრები: შეგვინდე, შეგვიწყალე და გვასწავლე გზა, ქრისტეს გზა ჭეშმარიტებისკენ, დიდება შენდა ღმერთო!

„თეთრი ვარდები“, თუ „ოქროსფერი მტრედები“? – არჩევანი არ მაქვს ჩემო ლაშიკო და ჩემი ცხოვრების კედელო, ჩემო ნოდარ, ღმერთს ემარებოდეთ, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

თქვენი
ᲛᲔᲠᲘ ᲓᲘᲮᲐᲛᲘᲜᲯᲘᲐ“.

ᲐᲘ, ეპილოგი ცრემლიანი რეკვიემისა, აი რეკვიემიც შვილმკვდარი ქვრივი დედის, რეკვიემი, რომელსაც ალბათ ეპილოგი არ ექნება, იგი გრძელდება, ყოველი უძინარი, მძიმე, მტანჯველი ღამის შემდეგ. რეკვიემი მაშინ სრულდება, როდესაც თეთრი ვარდების თოვა დაიწყება და ამ თოვაში ფრთების ტყლაშუნით ოქროსფერი მტრედები მიეახლებიან ყოველ ღამე განათებულ სარკმელს, სადაც მომლოდინე დედა ელის იმ დიდ ფანტასმაგორიას, ოქროსფერი მტრედების ღუღუნით ნათქვამ რეკვიემში რომ გადმოგვეცა.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ

პურის გაძვირება მთავრობის სუბსიდიებზეა დამოკიდებული

რუსეთის მიერ, უკრაინაში განხორციელებული სამხედრო აგრესიის ფონზე, პირველადი დანიშნულების პროდუქციაზე ფასი იზრდება. საფრთხის ქვეშ უკვე პურპროდუქტებია. მოახლოვდა მაისი და მეპურეებმა გაძვირებაზე დაიწყეს საუბარი. ძველი ფასის შენარჩუნებაზე მათ სწორედ აქამდე ჰქონდათ პირობა დადებული.

პურის მცხობელთა ასოციაციის ხელმძღვანელი, **მალხაზ დოლიძე** ამბობს, რომ საერთო გაძვირების მასშტაბის ფონზე, 10 და 15 თეთრით პურის გაძვირება მნიშვნელოვანი პრობლემა არ უნდა იყოს ქვეყნისთვის.

„მეწარმე ყოველთვის ცდილობს, როგორც ხარისხში, ისე ფასში რენტაბელური იყოს. ეს ბიზნესის ანბანია. საქართველოში, ისევ ვიმეორებ, რომ 2 თვის მარაგი არის, მაგრამ აქ უკვე ფასი „იკბინება“. ახლა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შაქარზე, ზეთზე და სხვა პროდუქტებზე უსაშველოდ მაღალი ფასი დადასტურდა, მე მგონი, 10 და 15 თეთრით ფასის მატება ქვეყანას არ დააქცევს. შეიძლება ამაზე გაბრაზდეს მომხმარებელი, მაგრამ რეალობა ასეთია და ამას თვალი უნდა გავუსწოროთ.

არის საუბარი, რომ სოციალურად დაუცველი ფენებისთვის უფრო ძვირადღირებული პურია მისაღები ან, რომ ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ. ჩვენ ყოველდღიურ კონტაქტში ვართ სამეზობლოსთან. მინდა ყველამ იცოდეს, რომ საქართველოში პურზე ყველაზე დაბალი ფასია“, – განაცხადა **მალხაზ დოლიძემ.**

ამჟამად პრობლემა ისაა, რომ საქართველოში შემოტანილი რუსული ფქვილის ფასიც საგრძნობლად გაიზარდა. თუკი თვეების განმავლობაში 1 ტომარა უმაღლესი ხარისხის ფქვილი 64-65 ლარი ღირდა, ახლა უკვე 75 ლარამდეა ასული. თუ ფქვილისა და ხორბლის ფასის მატების ასეთი ტენდენცია შენარჩუნდა, ზაფხულისთვის პური სავარაუდოდ, 20 თეთრითაც კი გაძვირდება.

„ჯერჯერობით პურის გაძვირების ფაქტს არ ვადასტურებ. ასეთი რამ ქარხნის პურთან დაკავშირებით მასიურად არ მომხდარა. არის რიგი შემთხვევები, როცა საცხობები, რომელთა პროდუქციაც ადრე შეუფუთავი იყო, ახლა შეფუთვით გამოდის და შესაბამისად, უფრო ძვირია. ფასი გაზრდილია აბსოლუტურად ყველა კომპონენტზე. ფქვილიც, რომელიც რუსეთიდან შემოდიოდა 64-დან 75-ლარამდე გაძვირდა მიმდინარე ომის ფონზე. გარდა ამისა, მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასმა 450 აშშ დოლარს მიაღწია. ახლა, ჯერი სახელმწიფოზეა, რას იზამს მაისიდან.

მაისამდე ჩვენ პროდუქტს არ გავაძვირებთ. შემდეგ კი, თუ ტენდენცია კვლავ გაგრძელდა, პურმა შეიძლება 20 თეთრითაც კი მოიმატოს. აქ უკვე ჯერი სახელმწიფოზეა, რა მექანიზმს ჩართავს“, – განუცხადა „ბიზნესპრესნიუსს“ დოლიძემ.

მდგომარეობის დრამატულობას ადასტურებს სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგიაც**.

„ფართო მოხმარების პურზე ფასები გაზრდილი არ არის, რა იქნება ხვალ პროგნოზის გაკეთება რთულია. არსებული ვითარებიდან გამომდინარე მდგომარეობა ყოველდღიურად იცვლება. იმ რეალობის გათვალისწინებით რომელიც დადგება, მთავრობა იმსჯელებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

დღესდღეობით ჩვენთვის პირველი ამოცანა და პრიორიტეტია იყოს მარაგები და ამის მონიტორინგს ვაწარმოებთ და რა თქმა უნდა, ვაკვირდებით ფასებს და თუ აქ დავინახავთ რამე მნიშვნელოვან ცვლილებებს შემდგომ მოხდება საკითხზე მსჯელობა თუ რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს“, – აღნიშნა მინისტრმა, რომელსაც მაიამდე იმდენად ცოტა დრო აქვს დარჩენილი, რომ წესით რეაგირება უკვე დაწყებული უნდა ჰქონდეს.

ბექა დანელია

სანთელი



საქართველოს მხატვართა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, დუშეთის სახალხო თეატრის მთავარი მხატვარი

ალბერტ ჭინჭარაული

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: დუშეთში, ხუთშაბათს 21 აპრილს, 2 საათზე.

30 წლის ბიჭი პოლიციელმა მოკლა

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ წყნეთში 30 წლის მამაკაცის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე, დაკავებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მე-4 სამმართველოს უფროსი დეტექტივი, – ამის შესახებ ნათქვამია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„საქმეზე ჩატარებული გადაუდებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების შედეგად დგინდება, რომ 2022 წლის 18 აპრილს, წყნეთში, ლ.გუდიაშვილის ქუჩის მიმდებარედ, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მე-4 სამმართველოს უფროს დეტექტივს ნარკოტიკული საშუალების შესაძლო უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილზე გამოცხადებისას, დაკავების ღონისძიების განხორციელების დროს, შემთხვევით გაუვარდა სამსახურებრივი იარაღიდან, რის შედეგადაც ახალგაზრდა მამაკაცი გარდაიცვალა“.

ქუთაისი-საირმის მონაკვეთზე ტრაილერებით მოძრაობა აღდგა

საქართველოს **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ჩატარებული ინტენსიური გაწმენდითი სამუშაოების შედეგად, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის (ქუთაისი-საირმე) მონაკვეთზე, მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსებით მოძრაობა აღდგენილია.**

საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოუწოდებს მოსახლეობას, იმოძრაონ გამართული ავტოტრანსპორტით და დაემორჩილონ საავტომობილო გზებზე დაწესებულ რეჟიმებს.

საწვავზე სუბსიდირება არ იქნება - რა ელით ფერმერებს?!

საქართველოში **მალე ხვნა-თესვის სეზონი დაიწყება, ფერმერებს კი მოუწევთ, ახალ რეალობას გაუმკლავდნენ – საწვავავის ფასები, წინა სეზონთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია.**

საინტერესოა, რა გავლენა ექნება გაძვირებულ საწვავის ფასებს სასოფლო სამუშაოებზე, როგორ იმოქმედებს ეს პროდუქციის საბოლოო ფასსა და რაოდენობაზე. ასევე, აქვს თუ არა სახელმწიფოს შემუშავებული გეგმა, ფერმერებს შეღავათიან ფასად საწვავი მიაწოდონ.

* * *

13 აპრილის **მონაცემებით, საქართველოში დიზელის სხვადასხვა საწვავის ფასი ბრენდირებულ ქსელებში, საშუალოდ, 4.15-დან 4.50 ლარამდე მერყეობს. საწვავის ფასი შედარებით იაფია არაბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე. დაახლოებით ერთი წლის წინ საქართველოში ერთი ლიტრი დიზელი 2.70-2.80 ლარი ღირდა.**

წელს დიზელზე ფასები განსაკუთრებით გაიზარდა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის დირექტორის, **ვანო მთვრალაშვილის** განცხადებით, უკრაინაში ომის დაწყებამდე საერთაშორისო ბაზარზე ერთი ტონა დიზელი 813 დოლარი ღირდა, თუმცა მარტის თვის დასაწყისში 1260 დოლარი გახდა.

მისი მიმოხილვით, მოგვიანებით, ფასები შედარებით შემცირდა და ამჟამად, საშუალოდ, 1 066 დოლარია, თუმცა ფასები საცალო ბაზარზე ჯერჯერობით არ შემცირებულა, რადგან კომპანიებმა საწვავი პიკურ ფასებში შეიძინეს და ბაზარს სწორედ ამ საწვავს აწვდიან.

მისი განცხადებით, ფასების დაწევა მოსალოდნელია, რადგან მსოფლიო ბაზარზე პროდუქცია იაფდება, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ რეზერვების გახსნის გადაწყვეტილებასთანაა დაკავშირებული, რომელიც პრეზიდენტმა ბაიდენმა მიიღო.

კითხვაზე, თუ რამდენი თეთრით შეიძლება გაიაფდეს დიზელის საწვავი და დაუბრუნდება თუ არა, მაგალითად, შარშანდელ მდგომარეობას, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში პასუხის გაცემა უჭირთ.

* * *

რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს გაძვირებულ საწვავს ადგილობრივ წარმოებაზე.

ერთწლიანი მარცვლეული კულტურების, მათ შორის, ხორბლის, სიმინდისა და ქერის, წარმოებისთვის საჭიროა ნიადაგის დახვნა, კულტივაცია, დაფრეზვა, დათესვა, სასუქების, ჰერბიციდების, პესტიციდებისა და სხვა პრეპარატების შეტანა, რიგ შემთხვევაში, მორწყვა, საბოლოოდ კი, მოსავლის მექანიზებული გზით აღება.

საქმიანობის ყველა ეტაპზე გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც, როგორც წესი, დიზელის საწვავზე მუშაობს. არასამეწარმეო ორგანიზაცია „მომავლის ფერმერის“ ხელმძღვანელი **რუსუდან გიგაშვილი** აცხადებს, რომ საწვავის ფასების გაძვირება პირდაპირ აისახება საბოლოო პროდუქციის ფასზე.

„ზოგადად, ძალიან ბევრი რამ გაძვირდა, მათ შორის, საწვავი, პესტიციდები და ყველა სხვა სამეურნეო საშუალება.

ეს ძალიან მალე შეეტყობა საადრეო ბოსტნეულის ფასებს. ეს განსაკუთრებით მტკივნეული იქნება იმ ფონზე, როდესაც დაგეგმილია თურქეთიდან ბოსტნეულის დემპინგურ ფასად შემოსვლა, აქ ძალიან გაჭირდება ქართული პროდუქციის რეალიზაცია და დაიჩაგრება მეწარმე“, – აცხადებს იგი.

საწვავის ფასებისა და სხვა სამეურნეო პროდუქციის გაძვირებამ, შესაძლოა, ფერმერულ საქმიანობა წამგებიანი გახადოს.

„ვფიქრობ, წვრილი ფერმერები, ალბათ, მაინც დაამუშავებენ და შეეცდებიან, ამ მხრივ გარკვეული შედეგები მიიღონ, მაგრამ ისინი, ვინც ამ ყოველივეს კომერციულად უყურებდნენ, ალბათ, კარგად დაითვლიან და აწონიან, რამდენად უღირთ ეს ყოველივე, რადგან შესაძლოა, საბოლოოდ, მოგების მარჟა ნულამდე დავიდეს, ან წაგებაშიც კი წავიდნენ“, – აცხადებს რუსუდან გიგაშვილი. ნეტგაზეთის დაანგარიშებით, რომელიც **გურიაში, კახეთსა და შიდა ქართლში მყოფ ფერმერებთან კონსულტაციით მიიღო, 1 ჰექტარ ფართობზე ხორბლის მოსაყვანად საჭიროა 2 010 ლარი, სიმინდის მოსაყვანად – 2 105 ლარი, ხოლო ქერისთვის – 2 359 ლარი.**

აღნიშნული დაანგარიშება პირობითია. მარცვლეულის წარმოებისთვის შესაძლოა, ფასები განსხვავდებოდეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, რაც დამოკიდებულია მეურნეობის ტიპზე, მექანიზაციაზე, სათესლე მასალის, სასუქებისა და პრეპარატების ფასებზე და სხვა გარემოებებზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, ბუნებრივია, ჯერ არ გამოუქვეყნებია საგაზაფხულო კულტურების, მათ შორის, ქერის, ხორბლის, სიმინდისა და სხვა ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების რაოდენობა 2022 წელს, თუმცა საშემოდგომო კულტურები (ქერი და ხორბალი) გასულ წელთან შედარებით 4.5 ათასი ჰექტრით არის შემცირებული და წელს 60.3 ათასი ჰექტარი იყო.

ირანიდან 4 ექსპონატი დაგვიბრუნდა... 11-ს დაკარგულად მიიჩნევენ

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ძალისხმევით, 1995 წელს ირანში საქართველოს საელჩოში გატანილი 15 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრიდან 4 ექსპონატი საქართველოს ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა.

ექსპონატების საქართველოში დაბრუნების შესახებ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა. ნამუშევრები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში დროებით საექსპოზიციოდ იყო გატანილი.

ექსპონატების საქართველოში დაბრუნება მინისტრის პირველი მოადგილის, კახა სიხარულიძისა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის, იოსებ ჩახვაშვილის აქტიური მუშაობითა და ძალისხმევით მოხდა.

ეროვნულ გალერეას წლების წინ ქვეყნიდან გატანილი შემდეგი 4 ნახატი დაუბრუნდა: დიმიტრი ხახუტაშვილი — „იმერეთი“; შოთა ლეჟავა — „გრემი“; ზაურ დეისაძე — „აკაკი წერეთლის ცხოვრება“; გრიგოლ ჩირინაშვილი — „შოთა რუსთაველი“.

აღსანიშნავია, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს ეროვნული გალერეიდან 1995 წელს გატანილი 15 ექსპონატის შესახებ, არც საქართველოს ეროვნულ გალერეას და არც საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, რომელშიც ეროვნული გალერეა 2005 წელს გაერთიანდა, 2012 წლამდე არავისთვის მიუმართავთ. მოცემული ექსპონატების შეკრება პირველად განახორციელა ირანში საქართველოს ელჩმა გიორგი ჯანჯღლავამ 2012 წელს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს შორის 2012 წლის ბოლოდან წარმოებული მიმოწერით დასტურდება, რომ 15 ექსპონატიდან 11 დაკარგულად მიიჩნევა.

შეგახსენებთ, რომ თეა წულუკიანის ინიციატივით, 2021 წლის აპრილში დაიწყო სხვადასხვა დროს (1999-2010 წლები) შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეიდან გატანილი ექსპონატების შეგროვება და მუზეუმისთვის მათი დაბრუნება.

კულტურის სამინისტროს ინიციატივით და ძალისხმევით, 2021 წლის მაისში **შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა კულტურის სამინისტროში მოძიებული 12 ფერწერული ტილო (ელენე ახვლედიანი, „ფასანაური“; ელენე ახვლედიანი, „ძველი ქუთაისი“; ედმონდ კალანდაძე, „ძველი სასაფლაო - ბაზილიკა“; გურამ (ხიტა) ქუთათელაძე, „ნატურმორტი“; გურამ (ხიტა) ქუთათელაძე, „პეიზაჟი“; ლევან ლაღიძე, „განდევნა“; სერგო ქობულაძე, „რუსთაველი“; სერგო ქობულაძე, „დანტე“; იდა ოცხელი, „ფოთოლცვენა“; რადიშ თორდია, „მოხუცი ქალი შემოდგომის ყვავილებით“; მიხეილ ხვიტია, „შემოდგომა“; თენგიზ ცხონდია, „ძველი თბილისის კუთხე“).**

ასევე, **2021 წლის სექტემბერში დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეას დაუბრუნდა 2010 წელს ჩეხეთის რესპუბლიკაში გატანილი 4 ფერწერული ტილო, ესენია: ირაკლი სუთიძის „ნატურმორტი“, თენგიზ ცხონდიას „ქართლი“, ომარ კაჭკაჭიშვილის „ადრეული გაზაფხული“ და გურამ ნავროზაშვილის „აღორძინება“.**

2021 წლის ნოემბერში კი, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს დაუბრუნდა საქართველოდან 2003 წელს რუსეთის ფედერაციაში დროებით საექსპოზიციოდ გადაცემული ნახატები, რომლებიც წლების განმავლობაში რუსეთის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის საცავებში ინახებოდა. საქართველოში შემდეგი ექსპონატები დაბრუნდა: ბორის ფოგელი — „თელავი“ (1936 წ.); ევგენი ლანსერე — „ხევსურეთი“ (1926 წ.); ბორის ფოგელი — „სასულიერო სემინარია“ (1934 წ.); გრიგორი გაგარინი - „ქართველი ქალები“ (1854 წ.); ლევ ლაგორიო — „ანასტასია ორბელიანი-გაგარინას პორტრეტი“ (1850 წ.), კარლ ჟუკოვსკი — „ივანე ანდრონიკაშვილის პორტრეტი“ (1850 წ.).

„თბილისის ცის ქვეშ“

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში პანდემიამდე ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა პროგრამა „თბილისის ცის ქვეშ“. აღდგომის დღესასწაულების შემდეგ ვიწყებთ ამ პროგრამის განხორციელებას, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ სოციალურ ქსელში ვიდეოჩართვისას განაცხადა.

მისივე თქმით, თბილისში შეირჩევა კონკრეტული ადგილები, სადაც ყოველ შაბათ-კვირას ქართული ესტრადის ვარსკვლავების კონცერტები გაიმართება.

კახა კალაძემ პროექტის განხორციელება მერის მოადგილეს, ანდრია ბასილაიას დაავალა, რომლის განცხადებით, უახლოეს მომავალში ცნობილი გახდება კონცერტების ჩატარების თარიღები და ადგილმდებარეობა. პროექტი „თბილისის ცის ქვეშ“ დედაქალაქის მერიამ 2018 წელს დაიწყო.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

დაბადების დღე, რატომ გადამისადეთო...

აშშ-ში, კენტუკის შტატში, ამერიკელმა კაცმა ყოფილ სამსახურს სასამართლო დავა მოუგო და 4450,000-ს მიიღებს. ირკვევა, რომ კაცმა უშუალო ხელმძღვანელს სთხოვა, მისი დაბადების დღე, სხვა თანამშრომლების დაბადების დღეების მსგავსად, წვეულებით არ აღენიშნათ, რადგან შფოთვითი აშლილობა აქვს და ეს მასში სტრესს გამოიწვევდა. თანამშრომლებმა მისი თხოვნა არ გაითვალისწინეს და კომპანიაში კაცის დაბადების დღე მაინც აღნიშნეს, რასაც მისი პანიკური შეტევა მოჰყვა. მან შენობა დატოვა და ლანჩი, რომლისთვისაც ემზადებოდა, საკუთარ ავტომობილში მიირთვა.

მოგვიანებით, სამუშაო ადგილზე დაბრუნებულ კაცს თანამშრომლები დაუპირისპირდნენ და უთხრეს, რომ „პატარა გოგოსავით მოიქცა“ და სხვებს „სიხარული ჩააშხამა“. რამდენიმე დღეში, კაცი სამსახურიდან გაათავისუფლეს. სასამართლომ კომპანიას კაცისთვის, ემოციური სტრესის გამო, 4300,000-ს გადახდა დააკისრა, 4150,000 კი დაკარგული ხელფასის ასანაზღაურებლად.

საფრანგეთს რუსული გაზი არ სჭირდება

საფრანგეთს რუსული გაზი არ სჭირდება, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა. **რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესების საკითხს რამდენიმე ევროპელ ლიდერთან და პრეზიდენტ ბაიდენთან მოლაპარაკების დროს განვიხილავ“,** — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა. მაკრონის თქმით, საფრანგეთი აპირებს, რუსული გაზის საკითხი განიხილოს, რადგან „საფრანგეთს ის არ სჭირდება“.

ამასთან, მაკრონმა თქვა, რომ ევროპა დამოკიდებულია რუსულ გაზზე. რაც შეეხება რუსეთიდან იმპორტირებულ ნავთობსა და ქვანახშირს, მაკრონი მიიჩნევს, რომ სანქციები ამ სფეროებსაც უნდა შეეხოს. **„ეს არის გზა, რომ რუსეთმა ომის დაფინანსება შეწყვიტოს“,** — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. გაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 22 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0613; ევრო - 3.3053
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9873;
100 რუბლი - 3.7775; თურქული ლირა - 0.2113;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8054;
1000 სომხური დრამი - 6.4996.

ამინდი 20 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +19
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +21
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +16
თბილისი: ღამე +13, დღე +20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge